პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! — წლიწადი მეთოთხმეტე

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და ტფ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები: პას. რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—27, სამდივნოს—10—58, მთ. კანტორის—8—81.

ფასი 10 კაპ.

პარასკევი
17
აგვისტო
1934 წ.
№ 190 (4046)

> სალიტერატურო საქმე უნდა გახდეს საერთო-პროლეტარული საქმის ნაწილი... სალიტერატურო საქმე უნდა გადაიქცეს შემადგენელ ნაწილად... პარტმუშაობისა.
> ...ეს იქნება თავისუფალი ლიტერატურა, რადგან ახალ-ახალ ძალებს მის რიგებში თავს მოუყრის არა ანგარება და კარიერა, არამედ სოციალიზმის იდეები და მშრომელთა თანაგრძნობა.
> ლენინი

მწერალთა საკავშირო ყრილობას — ჩვენი მხურვალე ბოლშევიკური სალამი!

მწერალთა პირველი საკავშირო ყრილობა

სოციალისტური კულტურისათვის პროლეტარული ბრძოლის ისტორიაში კიდევ ერთი ბრწყინვალე ფურცელი იშლება. აქ წითლად აღიბეჭდება მსოფლიო — ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი — საბჭოთა მწერლების პირველი საკავშირო ყრილობა.

კულტურული ცხოვრება უძლიერეს ნაკადულათ ჩქეფს პროლეტარული დიქტატურის სახელმწიფოში. სოციალიზმის კულტურა ბოლშევიკური ტემპებით შენდება. მშრომელი მასები არიან ამ კულტურის ოსტატები და მშენებლები. პროლეტარიატის დიქტატურის პერიოდი არის სოციალისტური კულტურისათვის ბოლშევიკური ბრძოლის პერიოდი, აქ იჭედება და ყალიბდება უკლასო სოციალისტური საზოგადოების დიადი ხელოვნება.

შეხედეთ კაპიტალისტურ მსოფლიოს! ყველგან ერთი და იგივე სურათი: კულტურული ცხოვრების დაცემა, გაღატაკება, მეცნიერების დაქვეითება, მწერლობის, მუსიკის, ხუროთმოძღვრების, თეატრალური შემოქმედების გაუგონარი დეგრადაცია. ყველგან — ვაჭრობა სინდისით, რწმენით, სპეკულიაცია სულით და ხორცით, შემოქმედებითი გახრწნა — პროსტიტუცია...

არცერთი დიდი მეცნიერი, დიდი მხატვარი, რომელიც ფანატიურად იცავს დაქირავებული ძალის კაპიტალისტურ ექსპლოატაციას, არ წარმოუშვია მონოპოლისტური კაპიტალიზმის კულტურას! ვერც წარმოშობს, არ ძალუძს: **„ავსა კარგად ვერვინ შესცვლის თავსა ახლად ვერვინ იშობს“.**

ასეთია მდგომარეობა თანამედროვე კაცობრიობის ერთ პოლიუსზე.

ახლა ნახეთ კულტურული მშენებლობა მეორე პოლიუსზე — **საბჭოთა კავშირში.** აღმავალი კლასი — პროლეტარიატი—ქმნის სოციალისტურ კულტურას, დიდ ხელოვნებას. ლიტერატურას, თეატრს, ხუროთმოძღვრებას, მუსიკას.

კერძოთ, ფართოდ გაიშალა და გაიფურჩქნა **მხატვრული ლიტერატურა.** პროლეტარიატი კრიტიკულად ამუშავებს ბურჟუაზიის ლიტერატურულ მემკვიდრეობას, მარქს - ლენინ - სტალინურად უდგება კლასიკურ მხატრულ შემოქმედებას, კაცობრიობის წინაისტორიის მიერ შექმნილ მხატვრულ ღირებულებათა კრიტიკული ათვისება — დაძლევითი კაცობრიობის ნამდვილ ისტორიის — კომუნიზმის დიად ეპოქის მხატვრულ ლიტერატურას.

იდეური თვალსაზრისით საბჭოთა ლიტერატურა შეუდარებლად მაღლა სდგას მთელ ბურჟუაზიულ ლიტერატურაზე. მხატვრული თვალსაზრისითაც მოგვეპოვებიან — თუმცა რიცხვობრივად ძალიან მცირე — ნაწარმოებნი, რომლებიც ხშირად არ ჩამოუვარდებიან მსოფლიო ლიტერატურის ნიმუშებს.

გაიზარდა და დავაჟკაცდა ნაციონალური ლიტერატურაც. კერძოთ ჩვენში, საქართველოში, საბჭოთა ლიტერატურის ფრონტზე მოგვეპოვება სერიოზული მიღწევები. მთავარი მიღწევა იმაში მდგომარეობს, რომ **ქართული ლიტერატურის ძირითადი კადრები დადგა პროლეტარიატის დიქტატურის პოზიციაზე.** საბჭოთა მწერალი ცდილობს ოსტატურად მოიმარჯვოს **სოციალისტური რეალიზმის მეთოდი** შემოქმედებითი მუშაობაში და ღირსეულად ასახოს თანამედროვობის დიადი მოვლენები ფართო მხატვრულ ტილოზე. ეს ცდა დღესაც არ არის უნაყოფო, ხოლო ახლო **მომავალში ის მოგვცემს ჩვენი ეპოქის შესაფერ ნაწარმოებს.**

უნდა მოისპოს ლიტერატურის ჩამორჩენა სოციალიზმის მშენებლობის ტემპებისაგან — ამაშია მთავარი ამოცანა. ამისთვის საჭიროა აგრეთვე მარქსისტულ - ლენინური მხატრული კრიტიკის გაძლიერება. ეს კრიტიკა დღემდე ძალიან სუსტია, განსაკუთრებით ჩვენში, საქართველოში.

პროლეტარიატის დიქტატურა ანადგურებს კაცობრიობის კულტურას — ამტკიცებენ ბურჟუაზიული იდეოლოგები. პროლეტარიატს არ შეუძლია ხელოვნების განვითარება, მას არაფერი გაეგება ხელოვნების — ისტორიულად გაჰკივიან ბურჟუაზიული კრიტიკოსები. ნურას უკაცრავად. ვაჟბატონებო:

Рабочий класс
понимает искусство
не хуже вас!

ისინი სასტიკად დამარცხდნენ! სოციალისტური კულტურის მშენებლობის პრაქტიკამ გაანადგურა მათი „თეორია“.

მწერალთა საკავშირო ყრილობა არის მსოფლიო - ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი, რომელიც წარმოადგენს სოციალისტური მხატვრული ლიტერატურისათვის ძლევამოსილი პროლეტარული ბრძოლის ცოცხალ ილუსტრაციას.

◆◆◆

წარმოების ორგანიზაცია ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში

ციტრუსების საკითხებზე ჩატარებულმა რესპუბლიკურ პარტიულმა თათბირმა ლიმონტრესტისა და მის სისტემაში შემავალ საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში მრავალი არსებითი სერიოზული ნაკლოვანება გამოაშკარავა, საბჭოთა მეურნეობებზე ლიმონტრესტის ხელმძღვანელობა — მის განახლებამდე — ძალიან სუსტი იყო. კონკრეტულობა და ოპერატიულობა ამ ხელმძღვანელობას არ ახასიათებდა.

შედეგად მივიღეთ **წარმოების სუსტი ორგანიზაცია ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში.** ფეხი მოიკიდა მუშაობის **რაოდენობრივი** მაჩვენებლებით გატაცებამ და შესუსტდა მუშაობის **მაღალი ხარისხისათვის** ბრძოლა.

წარმოების ორგანიზაციის არასწორად დაყენებაზე განსაკუთრებით მოწმობდა **გაუპიროვნების** ფაქტი ციტრუსების მოვლა - მოშენებაში. პლანტაციის უბნებზე არ იყო მიმაგრებული საწარმოო ბრიგადები, აგროტექნიკები არ იყო განაწილებული საწარმოო ბრიგადების წევრთა შორის.

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობებში არ ექცეოდა ყურადღება აგრეთვე **მინერალურ და ორგანიულ სასუქის მოხმარებას,** მისი ფართოდ გამოყენებას. ცხადზე უცხადესია ეს გარემოება ძალზე ასუსტებდა მოსავლიანობას, აბრკოლებდა ციტრუსების კულტურის განვითარებას.

ქარსაცავი სანერგეების მოვლა-მოშენება არ იდგა მეურნეობათა მხედველობის არეში. ამიტომ **პლანტაციები სათანადოთ არაა დაცული ქარისაგან.**

არ არის შემოღებული აგროტექნიკური თათბირების პრაქტიკა საბჭოთა მეურნეობებში, ამიტომ არ წარმოებს მათ შორის **საწარმოო გამოცდილების გაცვლა - გამოცვლა.**

შრომის ორგანიზაციაც არ იყო მოწყობილი სათანადოთ ამჟამადაც, მუშათა მუდმივი კადრები არ არის სათანადოთ განმტკიცებული. არსებული კადრებიც არაა სათანადოდ უზრუნველყოფილი შესაფერი კულტურულ - საყოფაცხოვრებო პირობებით.

არც სპეციალისტები იყო მიზანშეწონილად განაწილებული: ისინი უმთავრესად ლიმონტრესტის ცენტრალურ აპარატში იყვნენ მოკალათებული; ამავე დროს კი მთელი რიგი მეურნეობანი ახლაც მოკლებული არიან კვალიფიციურ სპეციალისტებს.

შრომისა და წარმოების არასწორი, არა საქმიანი ორგანიზაცია, ხელმძღვანელობის არა ოპერატიულობა და კონკრეტიულობა შეუძლებელს ხდის ციტრუსების საბჭოთა მეურნეობათა მუშაობის ბოლშევიკურ ტემპებსა და მაღალ ხარისხს. მუშაობის ამ მეთოდებით შეუძლებელია განხორციელება ლოზუნგის: **მივცეთ ქვეყანას 500.000.000 ცალი ციტრუსი მეორე ხუთწლედის ბოლოს.**

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში არსებული ნაკლოვანებანი უნდა იქნან დაძლეული, აღმოფხვრილი. **ადგილობრივმა პარტიულმა ორგანიზაციებმა ციტრუსების საბჭოთა მეურნეობანი უზრუნველჰყონ კონკრეტულ - ოპერატიული ხელმძღვანელობით.**

ციტრუსების რაიონების პარტორგანიზაციების ხელმძღვანელებმა უნდა ახსოვდეთ რომ ციტრუსების საბჭოთა მეურნეობების უხეირო, სუსტ მუშაობაზე **ისინი ისევე აგებენ პასუხს, როგორც მეურნეობათა დირექტორები.**

ციტრუსების საბჭოთა მეურნეობანი უნდა გადავაქციოთ სანიმუშო, სამაგალითო, საჩვენებელ საბჭოთა მეურნეობებათ.

პროვოკაციული გამოსვლები
ალმ. ჩინეთის რკინის გზაზე
გზის ხელმძღვანელ მუშაკთა ახალი დაპატიმრებანი

ხაბაროვსკი, 15 აგვისტო. როგორც მოსალოდნელი იყო, დეპეშათა რუსეთის სააგენტოს კორესპონდენტის გუშინდელ დეპეშაში გამოთქმული მოსაზრებანი გამართლდა.

სულ ახლახან მიღებული ცნობებით, აღმოსავლეთ ხაზზე 13 აგვისტოს ღამით დაიწყო აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის ხაზის ხელმძღვანელ მუშაკთა მასობრივი დაპატიმრება. სულ დაპატიმრებულია აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის 19 მოსამსახურე —საბჭოთა მოქალაქენი. დაპატიმრებულთა შორის არიან უდიდესი სადგურების —იმიანპოს, მადაოშის, ხაილარის და პოგრანიჩნაიას უფროსები; სალიანდაგო დარგის 9 და 11 უბნების უფროსები, წევის დარგის მესამე უბნის უფროსი, სამსახურებრივი ტელეგრაფის მესამე უბნის უფროსი. გარდა ამისა, სადგურ პოგრანიჩნაიაში დააპატიმრეს ორი ტელეგრაფისტი, სადგურ მულინში ერთი ტელეგრაფისტი და ერთი კანტორის თანამშრომელი, სადგურ ხან-დაოხეცში —ორი ტელეგრაფისტი და სხვ.

საქმეს გაცნობილ ხარბინელ წრეებში ამ მასობრივ დაპატიმრებას უყურებენ როგორც ფართოდ მოსაზრებული პროვოკაციის დასაწყისს, რომლის მიზანია „დაამტკიცოს“, რომ „ბანდიტების“ ურიცხვი თავდასხმები აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის აღმოსავლეთ შტოზე, მატარებელთა მრავალი მარცხი, თავდასხმები სადგურებზე და დასახლებულ პუნქტებზე, „ბანდიტების“ მიერ აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის მოსამსახურეთა ტყვეთ წაყვანა, ზოგიერთი მათგანის მოკვლა და სხვ., ძალადობა და აბუჩად აგდება, საერთოდ მთელი ის აღმაშფოთებელი რეჟიმი, რასაც მოსამსახურენი და მათი ოჯახები უკანასკნელ თვეებში განიცდიდენ, მოწყობილია ...თითონ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთ ხაზის მოსამსახურეთა მიერ, ამგვარად, დაწყებული მასობრივი დაპატიმრება თავისებური პასუხია ამხ. რუდის მიერ აღმოსავლეთ - ჩინეთის რკინისგზის გამგეობისათვის 6 აგვისტოს წარდგენილ მოხსენებაზე, რომელიც შეიცავს იმ თავდასხმათა და უმსგავსოებათა სტატისტიკას, რაც აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთ ხაზზე ხდება, და მოთხოვნას მიიღონ ზომები მათ აღსაკვეთად.

მოიპოვება სარწმუნო ცნობები, რომ დაწყებული დაპატიმრებანი მხოლოდ დასაწყისია, რომ განზრახვა აქვთ დააპატიმრონ კიდევ რამოდენიმე ათეული საბჭოთა მოსამსახურე და რომ იაპონელი მილიტარისტები ამზადებენ სამხედრო წესების გამოცხადებას აღმოსავლეთი ჩინეთის რკინისგზის აღმოსავლეთ ხაზზე, რათა ფაქტიურად ხელთ იგდონ ეს ხაზი. ყველა ეს ღონისძიება არის შედეგი აღმოსავლეთ ჩინეთის რკინისგზის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებაზე ზეგავლენის ფართო აქციისა, რმელიც დაიწყო 31 ივლისს იაპონია - მანჯურიის პრესის ანტი-საბჭოთა კამპანიით (ადს).

ამხ. რაივიდის პროტესტი მანჯურიის პოლიციის თეთრგვარდიელი მოხელის ხულიგნური გამოსვლის გამო ხარბინის საბჭოთა გენერალური კონსულის, ამხ. სლავუცკის წინაალმდეგ.

ხაბაროვსკი, 15 აგვისტო. საბჭოთა კავშირის ხარბინელი გერენალური კონსულის მოვალეობის აღმასრულებელმა ამხ. რაივიდმა პროტესტი განუცხადა მანჯუგოს დიპლომატიურ კომისარს იმ შეურაცხყოფისათვის, რომელიც მანჯურიის თეთრგვარდიელმა მოხელემ კოსტომაროვმა საბჭოთა კავშირის ხარბინელ გენერალურ კონსულს ამხ. სლავუცკის მიაყენა.

კოსტომაროვი —მანჯურიის პოლიციის სისხლის სამართლის ნაწილის ზედამხედველი —მთვრალი, ყვირილით და ლანძღვა-გინებით შეუვარდა სად. ბუხედაზე სამსახურობრივ ვაგონში ამხ. სლავუცკის, რომელიც სამკურნალოდ მოსკოვში მიემგზავრებოდა, და მოითხოვდა მისგან „დოკუმენტებს“. ამხ. სლავუცკი პასპორტისათვის გაემართა კუპისაკენ, თან თხოვა მთვრალ პოლიციელს დაეცადა დერეფანში, რადგან კუპეში ბავშვს ეძინა. მაგრამ თავგასულმა თეთრგვარდიელმა უარი თქვა დაცდაზე, შევიდა კუპეში კვლავ განაგრძობდა უმსგავსო მოქცევას. მიუხედავად იმისა, რომ ამხ. სლავუცკიმ კოსტომაროვს წარუდგინა მანჯურიის ხელისუფლთა მიერ გაცემული შეუვალობის სიგელები და თავისი დიპლომატიური პასპორტი, თეთრგვარდიელი განაგრძობდა ხულიგნურ გამოსვლებს და აღმაშფოთებლად მოქმედებდა.

თეთრგვარდიელი პოლიციელის ხულიგნური გამოსვლა ამხ. სლავუცკის წინაალმდეგ, უეჭველია, პროვოკაციულ მიზნებს ისახავდა და, მხოლოდ ამხ. სლავუცკის განსაკუთრებული თავდაჭერილობის წყალობით ინციდენტს შემდგომი გართულება არ მოყოლია ადგილობრივ.

პოლონეთი და აღმოსავლეთის პაქტი
(ტელეფონით „იზვესტიას“ საკ. კორესპონდენტისაგან)

ბერლინი, 15 აგვისტო. გერმანიის პრესა კმაყოფილებით ადევნებს თვალყურს პოლონეთის დამოკიდებულებას აღმოსავლეთის პაქტისადმი. კერძოდ, ეს პრესა მოელის დიდ შედეგებს პილსუდსკისთან გებბელსის შეხვედრისაგან. გერმანული გაზეთების აზრით, ამ შეხვედრის დროს უნდა გამორკვეს პოლონეთის პოზიცია მცირე ანტანტის მიმართ.

„ფელკიშერ ბეობახტერის“ ვარშაველი კორესპონდენტი იტყობინება:

„პოლონეთს გაუძნელდება შეუერთდეს აღმოსავლეთის პაქტს, თუ ლიტვა საბოლოოდ უარს არ იტყვის ვილნოზე. ვინაიდან, აღმოსავლეთის პაქტის ძირითადი იდეის წინააღმდეგ, აღმოსავლეთში არსებული საზღვრების გარანტია [illegible] (ადს).

„ვიდერშტანდი“ გერმანიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ

ბერლინი, 15 აგვისტო. ყოველდღიური ორგანო „ვიდერშტანდში“, აღმოსავლეთის პაქტის შესახებ წარმოებულ მოლაპარაკებასთან დაკავშირებით, გამოქვეყნებულია დიდი წერილი გერმანიის საგარეო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ. ჩერდება რა აღმოსავლეთის პაქტის მიმართ ინგლისის და იტალიის პოლიტიკის არახელსაყრელ შეცვლაზე, წერილის ავტორი განსაკუთრებული გულახდილობით წერს:

„გერმანიის მოქმედების დიპლომატიური თავისუფლება უაღრესად შეზღუდული აღმოჩნდა. ის გამოუვალი მდგომარეობა, რომელშიაც ბერლინი ჩავარდა, იმდენად მძიმე იყო, რომ სრულიად ბუნებრივია, თუ გერმანიამ დაიწყო საკითხის განხილვა —ხომ არ შეიძლება მისი მდგომარეობის შემსუბუქება ვარშავის ან ტოკიოს მხრით“. ცდილობს რა დაამტკიცოს, რომ პოლონეთს აქვს საფუძველი უარყოფითად მოეკიდოს აღმოსავლეთის პაქტს, რომელიც მას თითქოს „მესამე ხარისხოვან“ სახელმწიფოს მდგომარეობაში აყენებს, ავტორი წერს: „გასაგებია თუ რატომ მერყეობს პოლონეთი —მისცეს თუ არა თანხმობა აღმოსავლეთის პაქტის ხელმოწერაზე. პოლონეთი აგრეთვე მხარს უჭერს ბალტიკის სახელმწიფოების ეჭვებს პაქტის წინააღმდეგ. პოლონეთს სურს მოიგოს დრო, მაგრამ იგი დღითი-დღე სულ უფროდაუფრო უახლოვდება იმ მომენტს, როცა მიღებული უნდა იქნას გადაწყვეტილება: ან იგი გერმანიასთან ერთად წინააღმდეგობას გაუწევს კავშირების საფრანგეთ - ინგლის - იტალია - საბჭოთა კავშირის სისტემას, ანდა კაპიტულაციას მოახდენს საფრანგეთის წინაშე. პირველ შემთხვევაში იგი სასწორზე დებს თავის არსებობას, მეორე შემთხვევაში კი თვითონ ამსხვრევს თავის ოცნებას დიდი სახელმწიფოს როლის შესახებ. ვარშავისათვის ამ მძიმე მდგომარეობის დროს დიდი მნიშვნელობა აქვს გადაჭრას საკითხი იაპონიის მნიშვნელობის და როლის შესახებ. იაპონია მხარს უჭერს ყველა იმ ძალებს, რომლებიც გამოდიან აღმოსავლეთის ლოკარნოს წინააღმდეგ. იაპონიისათვის დამარცხებას წარმოადგენს ის გარემოება, თუ საბჭოთა კავშირის დასავლეთი საზღვარი უზრუნველყოფილი იქნა ყოველგვარი საფრთხისაგან“.

გერინგი დაიჭრა

ბერლინი, 14 აგვისტო. გერმანიის საინფორმაციო ბიუროს გადმოცემით, პრუსიის პრემიერი გერინგი გუშინ, როცა ის მიუნხენიდან ბერტესგადენში მიდიოდა, კურორტ ბადაიბლინგის მახლობლად, მსუბუქად დაიჭრა მისი ავტომობილის სატვირთო მანქანასთან დაჯახების დროს (ადს).



მოსკოვი. მწერალთა სრ. საკავშირო ყრილობის თავმჯდომარეს მაქსიმ გორკის

ასეთი ყრილობა, როგორიცაა მწერალთა სრულიად საკავშირო ყრილობა, კაცობრიობის ისტორიაში პირველად მხოლოდ საბჭოების ქვეყანაში, სოციალიზმის მშენებელ ქვეყანაში იმართება. ვერც ერთი სხვა ქვეყანა მსოფლიოში, როგორიც არქიცივილიზებული ან არქიგანათლებული არ იყოს იგი, ვერაფერ ამის მსგავსს ვერ მოიმოქმედებდა. მხოლოდ პროლეტარიატის დიქტატურის დროს, ლენინის და სტალინის დიადი პარტიის ხელმძღვანელობით, რომელიც საქმით ახორციელებს მარქსის და ენგელსის დიად მოძღვრებას, შესაძლებელი იყო ამ ჭეშმარიტად მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის მქონე ყრილობის მოწყობა. მწერლები, მხატვრები, პოეტები, დრამატურგები, რომლებიც მოწოდებული არიან შექმნან და აკეთონ დიადი და ხალხისათვის სასარგებლო საქმე, თავისი მხატვრული სიტყვით, თავისი ცოდნით, თავისი ნიჭით ამიერიდან უფრო უკეთ იმუშავებენ მშრომელებისათვის.

გაუმარჯოს მწერალთა პირველ სრულიად საკავშირო ყრილობას და მის ორგანიზატორს — გორკის! გაუმარჯოს ბოლშევიკების დიად კომუნისტურ პარტიას! გაუმარჯოს მშრომელთა დიად ბელადს და მწერალთა ყრილობის ორგანიზატორს ამხ. სტალინს!

ფილიპე მახარაძე.

საბჭოთა მწერლები ჩამოდიან მოსკოვში

მოსკოვი, 15 აგვისტო. 15 აგვისტოსათვის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტში აღრიცხვაზე გატარდა 374 დელეგატი, მათ შორის 311 გადამწყვეტი და 63 სათათბირო ხმით.

15 აგვისტოს ყრილობაზე ჩამოვიდა უკრაინის დელეგაცია 65 კაცის რაოდენობით სრულიად უკრაინის საბჭოთა მწერლების კავშირის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის ამხ. კულიკის მეთაურობით. ჩამოსულ უკრაინელ მწერალთა შორის არიან — ამხ. ბაჟანი, ბესპოშჩადნი, გოლოვკო, გირონდსკი, უგა, კილერიჩი, კირილენკო, კოვალენკო, კორნეიჩუკი, კოჩერგა, ლიუბჩენკო, მიკიტენკო, პანჩი, პერვომაისკი, ტიჩინა, ფეფერი, ხვილია, შჩუპაკი და სხვ.

გუშინვე ყრილობაზე ჩამოვიდა ლენინგრადის დელეგაცია 50 კაცის შემადგენლობით მწერალთა კავშირის ლენინგრადის სამმართველოს თავმჯდომარის ამხ. ტიხონოვის და პასუხისმგებელი მდივნის ა. გორელოვის მეთაურობით. ჩამოვიდნენ მწერლები: ამხ. კაზაკოვი, ლავრენიევი, ლიბედინსკი, მარშაკი, ა. პროკოფიევი, ს. სემენოვი, სვირინი, სლონიმსკი, [illegible], ფედინი, ფორში, ტინიანოვი, ზოშჩენკო, ჩუკოვსკი, ჩუმანდრინი, შკაპსკაია, კავერინი და სხვ.

ჩამოვიდა აგრეთვე ბელორუსიის დელეგაცია 20 კაცის რაოდენობით, მათ შორის მწერლები: იანკა კუპალა, კუზმა ჩერნი, კრაპივა, გოლოვაჩი და სხვები. თათართა რესპუბლიკის მწერალთა დელეგაცია 12 კაცის რაოდენობით; 5 მწერალი უზბეკისტანიდან — საფაროვი, გაირატი და სხვ.

ფრუნზეს სახელობის ქარხნის საბინაო მშენებლობის მუშათა კლუბში შესდგა მშენებელ მუშათა და ინჟინერ-ტექნიკოსთა შეხვედრა დასავლეთის მწერლებთან: **ჯერმანეტო** (იტალია), **ალბერტი** (ესპანეთი), **კლარა ბლიუმი** (ავსტრია), **როდრიგო** (კუბა), **ვილი ბრედელი** (გერმანია), **მარია-ტერეზა-ლეონი** (ესპანეთი).

დასავლეთის პროლეტარულმა მწერლებმა მოუთხრეს მუშებს თავიანთ შემოქმედების და კაპიტალისტურ ქვეყნებში პროლეტარების ცხოვრების შესახებ. პოეტმა ალბერტიმ წაიკითხა თავისი ლექსი „**მისალმება წითელ არმიას**“, კლარა ბლიუმმა წაიკითხა ავსტრიაში თებერვლის ამბებისადმი მიძღვნილი ლექსები (ადს).

ჩინეთის წითელი არმიის შეტევა
ფუჯოუს პროვინციაში

ტოკიო, 15 აგვისტო. „ნიცი-ნიცი“ იტყობინება, რომ შანხაიდან მიღებული ცნობებით, ჩინეთის წითელი არმიის ნაწილებმა, რომლებიც ლო ნინ-ჩის სარდლობით შუიკოუ-ბაიშას მხრიდან ფუჯოუს უტევენ, შეიცვალეს მიმართულება და ახლა შეტევას აწარმოებენ მდინარე ლანძიან მინის და ლოიუანის გასწვრივ (აღმოსავლეთ ჩინეთის ზღვის ნაპირზე, ფუჯოუს ჩრდილოეთით).

წითელი არმიის ორათასიან რაზმთან ბრძოლაში ტაოჩანის მახლობლად ნანკინის ჯარების 87 დივიზიას 11 აგვისტოს დიდი ზარალი მოუვიდა, სიმბუნრენგოს საგენტოს ცნობებით, ამ დივიზიის მხრივ მოკლული და დაჭრილია 1000-ზე მეტი კაცი (ადს).

ჰინდენბურგის „პოლიტიკური ანდერძი“

ბერლინი, 15 აგვისტო. გერმანიის საინფორმაციო ბიურომ გამოაქვეყნა ჰინდენბურგის „პოლიტიკური ანდერძი“ საინფორმაციო ბიუროს სიტყვით, ეს ანდერძი გუშინ, ჰინდენბურგის შვილის დავალებით, ჰიტლერს გადასცა ყოფილმა ვიცე-კანცლერმა პაპენმა, ამასთან თითონ პაპენმა, ჰიტლერის დავალებით, ანდერძი გადასცა გამოსაქვეყნებლად.

ანდერძი მიმართულია „გერმანიის ხალხისა და მისი კანცლერისადმი“ და დათარიღებულია 1934 წლის 11 მაისით. ანდერძი იწყება ვრცელი ამონაწერით „გერმანიის ხალხისადმი“ ჰინდენბურგის 1919 წლის მიმართვიდან, რომელშიც ჰინდენბურგი გულახდილად ხაზს უსვამს თავის მონარქისტულ შეხედულებებს. ამ ამონაწერში ჰინდენბურგი ლაპარაკობს, „რწმენაზე გერმანიის დიადი მსოფლიო-ისტორიული მისიისადმი“, როგორც გერმანიის შემდგომი განვითარების საფუძველზე, დასასრულ აღნიშნავს: „ხალხის ცხოვრების მარად მოძრავი ზღვიდან კვლავ აღიმართებიან ის სალი კლდენი, რომლებისაკენაც ოდესღაც მიისწრაფოდა ჩვენი მამების იმედი რომელიც თითქმის ნახევარსაუკუნის წინათ საფუძვლად დაედო სამშობლოს მომავალს.

შემდეგ ჰინდენბურგი წერს, რომ მან თავისთავს ძალა დაატანა დათანხმებულიყო იმაზე, რომ იგი ორჯერ წამოეყენებინათ გერმანიის რესპუბლიკის პრეზიდენტობის კანდიდატად.

ჩერდება რა თავისი მოღვაწეობის უკანასკნელ პერიოდზე, ჰინდენბურგი წერს: „ჩემი ცხოვრების უკანასკნელი ხანა ამავე დროს იყო უმძიმესი ხანა ჩემთვის. ბევრისათვის გაუგებარი ვიყავი... მე შეუდექი პრეზიდენტის მოვალეობის შესრულებას და ვასრულებდი მას იმ რწმენით, რომ როგორც საშინაო, ისე საგარეო პოლიტიკის დარგში აუცილებელი იყო ტანჯვით აღსავსე მოსამზადებელი პერიოდი, ამასთან მესმოდა, რომ კონსტიტუცია და სახელმწიფოს მართვა-გამგეობის ფორმა, რომლებიც ერმა დიდი გაჭირვების და შინაგანი სისუსტის მომენტში აირჩია, არ შეეფერება ჩვენი ხალხის ნამდვილ საჭიროებებს და თვისებებს. უნდა დამდგარიყო ჟამი, როცა ამას საყოველთაოდ შეიგნებდენ, ამიტომ ჩემს ვალდებულებად მიმაჩნდა გავძღოლოდი ჩვენს ქვეყანას საგარეო ჩაგვრის და საშინაო გაჭირვების ბილიკებით მანამდის, სანამ ეს ჟამი არ დაკრავდა. ამის სიმბოლო და მტკიცე ბურჯი უნდა ყოფილიყო სახელმწიფოს დამცველი — რეიხსვერი. 1918 წლის კატასტროფის შემდეგ გერმანიის რეიხსვერი სამაგალითოდ იცავდა ძველი არმიის მაღალ ტრადიციებს. მუდამ და ყოველ დროს არმია უნდა იყოს უზენაეს სახელმწიფო ხელმძღვანელობის ინსტრუმენტი, ისეთი ინსტრუმენტი, რომელიც რჩება რა ყოველგვარი შინაპოლიტიკური განვითარებისაგან დამოუკიდებელი, ისწრაფვის მხოლოდ შეასრულოს ქვეყნის დაცვის მაღალი ამოცანა...

საგარეო პოლიტიკის მხრივ გერმანიას მძიმე გზა უნდა გაევლო. გარემო მსოფლიოს დიდხანს არ გაეგებოდა, რომ გერმანია უნდა იყოს არა მარტო თავის თავისათვის, არამედ, როგორც ევროპული კულტურის მედროშე, ევროპისათვის [illegible] ამიტომ ჩვენი შემბოჭველი ბორკ[illegible] მხოლოდ თანდათანობით შეიძლ[illegible] დასუსტებულიყო, რომ ძალიან დი[illegible] წინააღმდეგობა არ გამო[illegible]წვია. თუ [illegible]გიერთ ჩემს ძველ მეგობარს მაშინ [illegible] ესმოდა ამ გზის აუცილებლ[illegible], [illegible] უფრო სამართლიანად შეაფას[illegible] რამდენად მძიმე და რამდენად აუცილ[illegible] იყო გერმანიის შენარჩუნების ინტერესისათვის გამოგვეცა მთელი რიგი ჩემ მიერ ხელმოწერილი სახელმწიფო აქტები“.

„ანდერძის“ ბოლოში ჰინდენბურგი კმაყოფილებას გამოსთქვამს იმის გამო, რომ იგი მოესწრო „გერმანიის ახალი განმტკიცების ჟამს“. დასასრულ ჰინდენბურგი წერს:

„ჩემმა კანცლერმა ადოლფ ჰიტლერმა და მისმა მოძრაობამ გადამწყვეტი ისტორიული მნიშვნელობის ნაბიჯი გადადგეს დიადი მიზნისაკენ... ვიცი, რომ ჯერ კიდევ ბევრი რამ არის გასაკეთებელი, და მთელი სულით და გულით ვისურვებ, რომ ეროვნული აღმავლობის და ეროვნული შემჭიდროების აქტს მოჰყვეს შერიგების აქტი, რომელიც მოიცავს გერმანელთა მთელ სამშობლოს“.

„ანდერძი“ თავდება იმით, რომ გამოთქმულია მონარქიის აღდგენის „მტკიცე იმედი“. „მე დარწმუნებული ვარ, —წერს ჰინდენბურგი, —რომ ის, რასაც მე 1919 წელს ვესწრაფოდი და რამაც, თანდათანი მომზადების გზით, 1933 წლის 30 იანვრამდე მიგვიყვანა, მომწიფდება ჩვენი ხალხის ისტორიული მისიის სრულ განხორციელებამდე და შესრულებამდე“ (ადს).

საბჭოთა კავშირში

ამხ. შავგულიძის გამოგონების რეალიზაცია
მალე იქნება დამზადებული მსოფლიოში საუკეთესო ავტომატური მუხრუჭების სერია

მოსკოვი, 15 აგვისტო. შრომისა და თავდაცვის საბჭოსთან არსებული გამომგონებლობის კომიტეტის მიერ მოწონებული მსოფლიოში საუკეთესო ავტომატური მუხრუჭების გამომგონებელმა, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ქუთაისის დეპოს მემანქანემ ამხ. ე. ა. შავგულიძემ მისი გამოგონების რეალიზაციისათვის უკანასკნელი მუშაობის შესახებ საკავშირო დეპეშათა სააგენტოს თანამშრომელთან საუბარში განაცხადა:

მუხრუჭების ქარხანა „ვოვატი“ მოსკოვში იწყებს ახალი ავტომატური მუხრუჭების სერიის (75 ეგზემპლიარი) დამზადებას, რომლებიც გათვალისწინებულია პირველი ნოემბრიდან გამოცდილი იქნას ამიერ-კავკასიის რკინის გზის საექსპლოატაციო პირობებში. შავგულიძის მუხრუჭები გაივლიან დაბლობ ადგილებში გამოცდებს და შემდეგ გამოცდილი იქნება უძნელეს უღელტეხილებზე (სურამის და ჯაჯურის).

მალე ქარხანა შეუდგება აგრეთვე იმავე მემანქანის ავტომუხრუჭებისათვის რამდენიმე ონკანების დამზადებას, რომელთა დახმარებით მატარებლის წამყვანი შეძლებს ერთი ადგილიდან (ორთქლმავალზე) მოძრაობაში მოიყვანოს შემადგენლობის ავტომატური დამუხრუჭების მთელი სისტემა.

მაღალკვალიფიციური კონსტრუქტორების კოლექტივი (ინჟენერები — **დიკოვი, ალიბეგოვი და შანიავსკი**), რომლებიც ეხმარებიან ამხ. შავგულიძეს მისი გამოგონების რეალიზაციაში, ამთავრებენ ახალი ავტომატური მუხრუჭის ცალკე ნაწილების სამუშაო ნახაზებს (ადს).

თვითმფრინავი „პ—5“ გაფრინდა საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე

მოსკოვი, 15 აგვისტო. 13 აგვისტოს მოსკოვიდან კოპენჰაგენში საერთაშორისო საავიაციო გამოფენაზე გაფრინდა თვითმფრინავი „პ—5“, რომელზედაც ამხ. მოლოკოვი მონაწილეობას იღებდა ჩელუსკინელთა გადარჩენაში. თვითმფრინავი წაიყვანეს ფრინავმა ამხ. კამინსკიმ და ბორტმექანიკოსმა ამხ. კოტოვმა.

გამოფენა კოპენჰაგენში გაიხსნება 17 აგვისტოს საგამოფენო სასახლის ფორუმის შენობაში (ადს).

პრესის სასახლე ბაქოში და ახლად გაშენებული ბაღი

ამერიკის ინსტიტუტის მსმენელები გაემგზავრენ ექსკურსიაზე

მოსკოვი, 15 აგვისტო. 14 აგვისტოს დამთავრდა მეცადინეობა ამერიკის ინსტიტუტში. უკანასკნელი ორი დღის განმავლობაში ინსტიტუტის მსმენელები აბარებდენ გამოცდებს ყველა დისციპლინაში, ხოლო 14 აგვისტოს საღამოთი შესდგა მეცადინეობის დამთავრებისადმი მიძღვნილი საზეიმო სხდომა.

სხდომას დაესწრენ საბჭოთა საზოგადოებრიობის, ამერიკის საელჩოს, საბჭოთა და ამერიკის პრესის წარმომადგენლები.

15 აგვისტოს ამერიკის ინსტიტუტის მსმენელები დაიყვენ 4 ჯგუფად და გაემგზავრენ ექსკურსიაზე საბჭოთა კავშირში: ორი ჯგუფი გაემგზავრა ყირიმში, ერთი—ვოლგაზე და ერთი თეთრი ზღვის არხზე (ადს).

თურქეთის სპორტსმენთა დელეგაცია გაემგზავრა ოდესაში

კიევი, 15 აგვისტო. 15 აგვისტოს თურქეთის რესპუბლიკის სპორტსმენთა დელეგაცია კიევიდან გაემგზავრა ოდესაში (ადს).

უნივერსალური მაღაზია ტფილისში

მოსკოვი, 15 აგვისტო. ცენტროსოიუზის პრეზიდიუმმა წინადადება მისცა ცეკავშირს მეოთხე კვარტალში გახსნას ტფილისში დიდი უნივერსალური მაღაზია. მაღაზიის გახსნის დროისათვის ის მომარაგებული იქნება პირველხარისხოვანი საქონლის ასორტიმენტით თვენახევრის მარაგის რაოდენობით. უნივერსალური მაღაზიის საქონლის ბრუნვა დაახლოებით შეადგენს 14 მილიონ მანეთს წელიწადში. მაღაზიის მოწყობისა და რემონტისათვის გადადებულია 200.000 მანეთი (ადს).

საბჭ. კინო-დელეგაცია მიწვეულია ვარშავაში

მოსკოვი, 15 აგვისტო. საბჭოთა კინოდელეგაციამ, რომელიც ამჟამად იმყოფება საერთაშორისო კინო-გამოფენაზე ვენეციაში, მიიღო ოფიციალური მიწვევა პოლონეთის კინო-ორგანიზაციების გაერთიანებისაგან, რომ უკან დაბრუნებისას ჩავიდნენ ვარშავაში (ადს).

საბჭოთა მფრინავები გაემართნენ მოსკოვისაკენ

ვენა, 16 აგვისტო. საბჭოთა ესკადრილია ამხ. ეიდემანის მეთაურობით გაფრინდა მოსკოვის მიმართულებით. ფლორისდორფის მუშებმა საბჭოთა მფრინავებს მხურვალე ოვაცია გაუმართეს (ადს).

ბრძანება
კავკასიის წითელდროშოვანი არმიის ჯარებისადმი
1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა მუშურ-გლეხური წითელ არმიაში გაწვევის შესახებ

ქალ. ტფილისი, № 113. 1934 წლის 14 აგვისტო.

ს. ს. რ. კ-ის თავდაცვის სახალხო კომისრის 1934 წ. 6 აგვისტოს № 27 ბრძანებასთან შეფარდებით, **ვბრძანებ:**

1. 1912 წელს დაბადებულ მოქალაქეთა და უფროს ასაკთა გაწვევა ნამდვილ სამხედრო სამსახურში ა.-კ.ს. ფ. ს. რ-ის ტერიტორიაზე ჩატარდეს ა. წ. 15 სექტემბრიდან 25 ოქტომბრამდე.
2. 1904 წელს დაბადებული მოქალაქენი, რომელთაც წინათ ვადა გადადებული ჰქონდათ, გაწვევიდან განთავისუფლდენ და პირველი რიგის მარაგში გადაირიცხონ.

საფუძველი: სავალდებულო სამხედრო სამსახურის კანონის მუხლი 131.

არმიის სარდლის მაგიერ — **ალაფუზო.**

საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტში

პურის აღებისა და პურის ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა 13 აგვისტოს განიხილა საკითხი ამიერ-კავკასიაში პურის აღების და პურის ჩაბარების მიმდინარეობის შესახებ.

ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა ა.-კ. რესპუბლიკებში მოსავლის აღების, ლეწვის და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების მიმდინარეობა ძირითადად სცნო დამაკმაყოფილებლად. 10 აგვისტოსათვის მოსავალი აღებულია 957.400 ჰექტარზე, წინააღმდეგ 656.400 ჰექტარისა 1933 წლის ამავე რიცხვისათვის. გალეწილია 438.960 ჰექტარზე, წინააღმდეგ 291.600 ჰექტარისა 1933 წელს და ჩაბარებულია სახელმწიფოსათვის (სამინდე გამოსალებისა და სათესლე ფონდების გარდა) 59.143 ტონა, ანუ პურის ჩაბარების წლიური გეგმის 62,8 პროც. პურის აღების და პურის ჩაბარების ასეთი ტემპები ქმნიან ყველა პირობას ხორბლეულის აღების და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების გეგმის ვადამდე შესრულებისათვის.

ამიერ-კავკასიის კოლმეურნეობებში პურის აღების, გალეწვის და ხორბლეულის ჩაბარების წარმატებით მიმდინარეობასთან ერთად, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა გალეწვისა და პურის ჩაბარების მნიშვნელოვანი ჩამორჩენა ერთპიროვნულ მეურნეობებში.

10 აგვისტოსათვის სომხეთის კოლმეურნეობების მიერ შესრულებულია ხორბლეულის ჩაბარების წლიური გეგმის 46,6 პროც. ხოლო ერთპიროვნულ მეურნეობების მიერ 11,7 პროც. საქართველოში შესაბამისად 106,1 პროც. და 63,5 პროც. საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს დაუყოვნებლივ მიიღონ ღონისძიებანი პურის აღების, გალეწვის და პურის ჩაბარების ტემპების გაძლიერებისათვის ერთპიროვნულ მეურნეთა სექტორში. ერთპიროვნულ მეურნეებს, რომლებიც ბოროტი განზრახვით აფერხებენ სახელმწიფოსათვის მარცვლეულის ჩაბარებას და საბოტაჟს [illegible] თავიანთ ვალდებულებების შესრულებას, შეუფარდონ აუცილებელი [illegible] წესები.

იმის გამო, რომ მთელ რიგ რაიონებში ადგილი აქვს მოსავლის აღების, გალეწვის და გადაზიდვის დროს მარცვლეულის დიდ დანაკარგებს და აგრეთვე სუსტადაა ორგანიზებული ბრძოლა მტაცებლობასთან, საკ. კ.პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა რაიკომებს, რაიონულ აღმასკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების პოლიტგანყოფილებებს და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს გააძლიერონ ბრძოლა მარცვლეულის დანაკარგებთან პურის აღების ყველა სტადიაში, დააწესონ უმკაცრესი კონტროლი და მოსავლის დაცვა. მისცენ რა უსასტიკეს პასუხისგებაში უთაურები, რომლებიც ურიგდებიან მარცვლეულის დანაკარგებს, და სოციალისტური საკუთრების დამტაცებლები.

საკ. კ.პ. (ბ) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა აღნიშნა პარტიის დირექტივების გამრუდება, დაშვებული ცალკე რაიონებში პურის აღებისა და სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების მიმდინარეობაში (კოლმეურნეობების მიერ ერთპიროვნულ მეურნეთა „ავანსირება" მარცვლეულით სახელმწიფოსათვის პურის ჩასაბარებლად, მოსავლის შესახებ ცნობების შემცირება, კოლმეურნეთა ავანსირება დაწესებული ნორმის ზევით პურის აღების მიმდინარეობის დროს და სხვ.); და დაავალა პარტიულ ორგანიზაციებს დაუყოვნებლივ გამოასწორონ ამის მსგავსი გამრუდებანი პურის აღების და პურის ჩაბარების პრაქტიკაში.

აღნიშნა რა ლეწვის ჩამორჩენა მოსავლის აღებისაგან, ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა დაავალა რაიკომებს, რაიონულ აღმასკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს გააუმჯობესონ სალეწი მანქანების მუშაობა, შემოიღონ ლეწვაზე ორცვლიანი მუშაობა და ფართოდ მოაწყონ მარცვლეულის ლეწვა უმარტივესი საშუალებებით.

რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს დაევალა დააჩქარონ სარაიონთაშორისო კომისიების მუშაობა კოლმეურნეობების ამათუიმ ჯგუფში ჩარიცხვისათვის მოსავლიანობის მიხედვით პარტიისა და მთავრობის დადგენილების შესაბამისად. სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დირექტორები ვალდებულია თავის დროზე წარუდგინონ ანგარიშები კოლმეურნეობებს და უზრუნველყონ კოლმეურნეობების მიერ ნატურალურ გადასახადის გეგმების შესრულება სამ.-სატრაქტორო სადგურებისათვის დაწესებულ ვადებში.

აღნიშნა რა პარტიისა და მთავრობის დირექტივების დარღვევა პურით ვაჭრობის აკრძალვის შესახებ მთელ რიგ რაიონებში (სამხრეთ-ოსეთი, მთიანი-ყარაბაღი, გურჯაანი, სიღნაღი, კარაკლისი, შამხორი, ყაზახი კუბა და სხვ.) ამიერ-კავკასიის სამხარეო კომიტეტმა წინადადება მისცა რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს შეამოწმონ პურით ვაჭრობის ფაქტები ამ რაიონებში და სასტიკ პასუხისგებაში მისცენ დამნაშავენი პარტიისა და მთავრობის დირექტივების დარღვევაში.

ა.-კ. სამხარეო კომიტეტმა დაავალა რესპუბლიკების ცენტრალურ კომიტეტებს და სახალხო კომისართა საბჭოებს, რაიკომებს და რაიონულ აღმასკომებს, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებს სახელმწიფოსათვის პურის ჩაბარების ვალდებულების პირველ რიგში შესრულებასთან ერთად, უკეთესად მოაწყონ სახელმწიფოსათვის სათესლე ფონდების დაბრუნების დავალების შესრულება, სამინდე გამოსალების, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ნატურალური გადასახადის, სათესლე და სადაზღვევო ფონდების შეგროვების გეგმების შესრულება იმ ანგარიშით, რომ პირველ ოქტომბრისათვის, ე. ი. მთავრობის მიერ დაწესებულ პურის ჩაბარების დამთავრების ვადაში, შესრულოს მთავრობის ეს დავალებანიც.

რაოდენობა კი, მაგრამ ხარისხი?

ზუგდიდის რაიონის კოლმეურნეობებმა აგვისტოში სახელმწიფოს უნდა ჩააბარონ 49.910 — კილოგრამი ჩაის მწვანე ფოთოლი, ერთპიროვნულმა მეურნეებმა კი — 2300 — კილოგრამი როგორ სრულდება ეს საბრძოლო დავალება?

უნდა აღინიშნოს, რომ ჩაის ფოთლის კრეფა აგვისტოში გაცილებით უფრო ორგანიზებულად მიმდინარეობს ვიდრე ივლისში. რა იყო დამახასიათებელი რაიონის მთელ რიგ კოლმეურნეობებისათვის ივლისში ტემპების შენელება თვის დასაწყისში და ზოგიერთ კოლმეურნეობათა ხელმძღვანელების დემობილიზაციური განწყობილება. საკმარისია აღვნიშნოთ მარტო ის ფაქტი, რომ 10-ივლისისათვის კრეფის თვიური დავალება შესრულებული იყო საკოლმეურნეო სექტორში მხოლოდ 19, — პროც. ერთპიროვნულ მეურნეებში 11,9 — პროც. კრეფის ივლისის გეგმა კოლმეურნეობებმა გადაჭარბებით შეასრულეს. ეს მოხდა თვის მეორე ნახევარში, როცა გადამჭრელი ბრძოლა გაჩაღდა გეგმების შესრულებისათვის.

სულ სხვა მდგომარეობაა აგვისტოში. **პირველ რიცხვებიდან ისეთი ტემპებია აღებული, რომელიც სავსებით უზრუნველყოფს გეგმის შესრულებას.** 14 — აგვისტოსათვის კოლმეურნეობებს მოკრეფილი ჰქონდათ 32,132 — კილოგრამი გეგმის 64,3 — პროც.

ეს წარმატება მიღწეულია სამეგრელოს და აფხაზეთის ჩაის რაიონების მუშაკთა პარტიულ თათბირზე მიღებული ღონისძიებათა განხორციელების საფუძველზე. **თითქმის ყველა კოლმეურნეობებში დანერგულია განუწყვეტლივი კრეფა. დაწესებულია კრეფის ყოველდღიური დავალება და დაყვანილია თითეულ კოლმეურნეობამდე და მკრეფავთა ჯგუფამდე საგრძნობლად გაუმჯობესდა პირველადი პარტიული ორგანიზაციების ხელმძღვანელობა მკრეფავთა ჯგუფებზე.** მაგალითად კორცხელის ზედა ეწერის, ჭკადუაშის, „ქალაქის საბჭო"-ს სახელობის და რუხის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობათა პირველადი პარტიული ორგანიზაციები **ყოველდღიურად აჯამებენ** კრეფის მიმდინარეობას. მათ შესძლეს პარტიული და კომკავშირული რიგების სწორად განაწილება, გაშალეს შეჯიბრება კრეფის გეგმის შესრულებისათვის. ამის შედეგად: კორცხელის კოლმეურნეობას (თავმჯდომარე **ა. თოდრია**) 14 — აგვისტოსათვის ჩაის კრეფის თვიური გეგმა შესრულებული ქონდა 98,3 პროც., ჭკადუაშის კოლმეურნეობას 86 — პროც. ქალაქის საბჭოს სახელობის კოლმეურნეობას 108 — პროც.

მკრეფავთა ჯგუფების თვალსაჩინოდ განმტკიცებამ, მათმა მიმაგრებამ პლანტაციის განსაზღვრულ ნაკვეთებზე დადებითი ნაყოფი გამოიღო. ჯგუფის ხელმძღვანელად შერჩეულია საუკეთესო დამკვრელი და შემოწმებული კოლმეურნე ქალები. მთელი რიგი ჯგუფები იძლევიან ჩაის კრეფის გეგმების შესრულებისათვის ბრძოლის ნიმუშებს. კორცხელის კოლმეურნეობიდან კრეფავთა ჯგუფმა **ვალენტინა რაფავას** ხელმძღვანელობით 400— კილოგრამის ნაცვლად ივლისში მოკრიფა 520 — კილოგრამი **მუკია თოდრიას** ჯგუფმა 600 — ნაცვლად 727 — კილოგრამი, მკრეფავთა ჯგუფმა **ცაბუ თოდრიას** ხელმძღვანელობით (ზედა ეწერის კოლმეურნეობიდან) ივლისის გეგმით გათვალისწინებული 1464 — კილოგრამის ნაცვლად სახელმწიფოს ჩააბარა 1.649 — კილოგრამი.

აღნიშნული ჯგუფები აგვისტოშიაც გადაჭარბებით ასრულებენ კრეფის ყოველ დღიურ დავალებას.

ჩაქვის ჩაის საბჭოთა მეურნეობა. ჩაის საუკეთესო მკრეფავი დამკვრელი მუშა ქალი ამხ. კიჟილი.

სოციალისტურმა შეჯიბრებამ, რომელიც გაშლილია ჯგუფებს შორის, გამოავლინა კრეფის საქმის ნამდვილი იზოტოვები. რუხის კოლმეურნე ქალები **ე. ბულია, ლ. შენგელია, მ. თოდუა, ზ. თოდუა, დღიურად კრეფენ 20 — 25** კილოგრამ ჩაის მაშინ, როდესაც დღიური ნორმა დაწესებულია 6—8 — კილოგრამი.

2—აგვისტოს დამკვრელთა სარაიონო შეკრებაზე შეჯამებულ იქნა ჩაის კრეფის და პლანტაციების დამუშავების საუკეთესო ჩატარებაზე გაშლილი სოცშეჯიბრის შედეგები. პირველი გარდამავალი დროშა გადაეცა რუხის ამხ. ლ. ბერიას სახელობის კოლმეურნეობას, მეორე დროშა ჭაქვინჯის კოლმეურნეობას მოხდა საუკეთესო კრეფავების დაჯილდოვება.

მაგრამ თუ რაოდენობის მხრივ გეგმა გადაჭარბებით სრულდება რაიონში იგივე არ ითქმის ხარისხობრივი მაჩვენებლებზე. აქ სამარცხვინო ჩამორჩენას აქვს ადგილი ჯერ კიდევ ივლისში მთელ რიგ კოლმეურნეობებში ხარისხობრივ მაჩვენებლებს არ ექცეოდა სერიოზული ყურადღება. აგვისტოს პირველ რიცხვების ცნობები მოწმობენ, რომ ეს მდგომარეობა ახლაც არ არის გამოსწორებული. აგვისტოს პირველ დეკადაში მოკრეფილ ჩაის საერთო რაოდენობიდან პირველი ხარისხის შეადგენს მხოლოდ 55,7 — პროც., მეორე ხარისხი 23,1 — პროც. მესამე ხარისხის 21,2 — პროც. საქ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დირექტივის თანახმად კი პირველი ხარისხი უნდა შეადგენდეს 90 — პროც.

რა არის მიზეზი, რომ ასე მცირეა მოკრეფილი ჩაის პირველი ხარისხი? **ძირითადი მიზეზი ის არის, რომ თითეული მკრეფავთა ჯგუფის ყურადღება არ არის გამახვილებული ხარისხობრივი მაჩვენებლებისათვის ბრძოლაზე, არ არის დანერგილი დახარისხებული კრეფა.**

არის მთელი რიგი შემთხვევები (ყულის კარი, კახათი, ჭითაწყარი) როცა **სხვა და სხვა ხარისხის ფოთოლს ერთმანეთს ურევენ.** ეს კი სცემს ხარისხს.

არის მეორე გარემოებაც, რომელიც ხელოვნურად აუარესებს ხარისხობრივ მაჩვენებელს. ჩაის მიმღები პუნქტები არ არიან განმტკიცებული კვალიფიციური კადრებით. ამიტომ ხშირად ხდება ისიც, რომ შეცდომისაგან თავის „დაღწევის" მიზნით პუნქტის მუშაკები ზერელე ვარაუდით მოკრეფილი ფოთოლს აკუთნებს დაბალ ხარისხს (ცაიში, რუხი).

ზუგდიდის რაიონს მოეპოვება ყველა პირობები იმისათვის, რომ გეგმა შეასრულოს გადაჭარბებით და რაც მთავარია გადაჭრით გააუმჯობესოს კრეფის ხარისხი. პლანტაციებში ჩაის ბუჩქებს მასიურად აქვს ამოყრილი ყლორტები. ყველაფერი დამოკიდებულია კრეფის სწორ ორგანიზაციაზე.

კ. შეროზია

ჩაის გეგმის ჩამშლელები

ქობულეთის რაიონის კოლმეურნეობებმა და ერთპიროვნულმა პლანტატორებმა ივნისში ქვეყანას დააკლეს 60 ტონა ჩაის ფოთოლი. ჩაის კრეფის ივნისის გეგმა კოლმეურნეობებმა შეასრულეს 68,9 პროცენტით ხოლო ერთპიროვნულმა პლანტატორებმა 59,8 პროცენტი.

გარღვევის მთავარ მიზეზად რაიმიწგანის (გამგე მ. **ყურშუბაძე** და ჩაის სარაიონო კანტორის (უფროსი **გრ. თევზაძე**) სუსტი მუშაობა უნდა ჩაითვალოს, ვინაიდგან ფოთლის კრეფაში მათ ვერ გაუწიეს ადგილებს ოპერატიული ხელმძღვანელობა.

სოფ. ლეღვას, ჩალას და დაგვას კოლმეურნეობებსა და ერთპიროვნულ მეურნეობებში ჩაის კრეფა ისევ ჩამორჩენილია. ჩამორჩენილია აგრეთვე ციხისძირის სუბტროპიკული მეურნეობა, რომელსაც ათი აგვისტოსათვის შესრულებული ჰქონდა გეგმის მხოლოდ 15,9 პროცენტი.

ჩაის საკავშირო სამეცნიერო კვლევითი ინსტიტუტის ჩაქვის ფილიალმა (დირექტორი **თოხაძე**) აგვისტოში უნდა მოკრიფოს 10320 კილოგრამი ფოთოლი, 10 აგვისტოსათვის მას მოკრეფილი ქონდა მხოლოდ 2720 კილოგრამი, 20,6 პროცენტი.

ჩალას სასოფლო - საბჭოს პირველადი პარტორგანიზაციის, კომკავშირის და სოფსაბჭოს მუშაკები დამკვრელური მუშაობის ნაცვლად ლაყბობით ირთობენ თავს. სასოფლო საბჭოს მესვეურები აცხადებენ საკრეფი ფოთოლი არ გვაქვსო და ეს მაშინ, როცა მოუკრეფლობის **გამო ჩაის ფოთოლი აქ მასობრივად უხეშდება.**

სოფ. დიდიჯამის კოლმეურნეობამ ჩაის კრეფის ივლისის გეგმა მხოლოდ 57 პროცენტით შეასრულა. შრომის დისციპლინა კოლმეურნეობაში ახლაც დაცემულია, სამუშაოზე არ გამოსვლა და დაგვიანება აქ ჩვეულებრივი მოვლენად არის გადაქცეული. მუშაობას კომკავშირლებიც გაურბიან. მაგალითად კომკავშირელმა **სულეიმან ზოიძემ ივლისში გააცდინა 13 სამუშაო დღე, მამუდ ზოიძემ — 10 დღე, მამუდ ცეცხლაძემ 17 დღე.** ეს ყმაწვილები სპეკულიაციასაც არ ერიდებიან; ყიდულობენ სოფლად ხილს, რომელსაც გასასყიდათ თბილისსა და ბაქოში მიაქვთ. მამედ ზოიძეს ბათომში გასასყიდათ დააქვს ხორციც.

არც ლეღვას სასოფლო - საბჭოში შემავალი კოლმეურნეობები იტკივებენ თავს ჩაის ფოთლის დროზე მოკრეფისათვის. აქ არიან ისეთი პლანტატორები, რომელთაც 5 ივლისის შემდეგ თავის პლანტაციებში აღარ მოუკრეფნიათ ჩაი. ასეთებია **მამედ გამარჯვებაშვილი, დურსუნ -მესხიძე მამედ ბაჟუნაშვილი, რეჯებ შარაბიძე, მემედ ზოიძე, ხუსეინ ზოიძე, ხუსეინ ტაბიძე ოსმან ხახუტაიშვილი ჯარმილ რომანაძე** და სხვები. სასოფლო - საბჭოს თავმჯდომარე **ხასან გოგიტიძე.** მათ არას ეუბნება ვინაიდან არ უნდა მოინდუროს მეზობლები".

პ. კეკელია.

პარტიულ თემაზე

საუკეთესოდ ჩავატაროთ პარტგანათლების სკოლების მსმენელთა გამოშვება

საუკეთესოდ ჩავატაროთ პარტგანათლების სკოლების მსმენელთა გამოშვება ფდინტყ1.სუვო ზსუ სუკ

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა დაუგზავნა მიმართვები საქართველოს ყველა საოლქო, საქალაქო და რაიონულ პარტიულ კომიტეტებს მიმდინარე წელს პარტიული განათლების სკოლების და წრეების მსმენელთა გამოშვების შესახებ.

ყრილობის შემდეგ ყველა ტიპის პარტგანათლების სკოლები და წრეები მთლიანად გადაყვანილი იქნენ მე-17 პარტყრილობის მასალების შესწავლაზე; სწავლების ვადები უკვე ამოიწურა. ზოგიერთ პარტგანათლების სკოლებმა ადრე შეასრულეს პროგრამა და მუშაობენ განვლილი მასალის გასამეორებლად; შეთვისების ხარისხის ასამაღლებლად. ზოგან კი, სადაც პარტგანათლების სკოლებს პარტიული ორგანიზაციები სუსტად ხელმძღვანელობდენ, ამ მხრივ არაა დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა. როგორც ცენტრალური კომიტეტის მიმართვაშია ნათქვამი **ქალაქად**, პარტგანათლების სკოლების მსმენელთა გამოშვება უნდა დაიწყოს 15 აგვისტოდან და დამთავრდეს 10 სექტემბრამდე. რაიონებში კი უნდა დაიწყოს 25 აგვისტოდან და დამთავრდეს 20 სექტემბრამდე.

მე-17 პარტყრილობის მასალების მაღალხარისხოვნად შეთვისებისათვის პარტგანათლების სკოლების და აგრეთვე მსმენელთა შორის უნდა გააჩაღონ სოცშეჯიბრება, ცენტრალური კომიტეტი აფრთხილებს; ყველა პარტიულ ორგანიზაციას, რათა პარტსკოლების მსმენელთა გამოშვების საკითხს მოეპყრან **ფრიად სერიოზულად, უოყელგვარი ხმაურობის** და ფორმალობის გარეშე ჩაატარონ მსმენელთა პოლიტიკური იდეურიმომზადების შემოწმება; არამცდაარამც ეს შემოწმება არ უნდა გადაიქცეს სკოლისებურ გამოცდებად; პარტიის თვითეული წევრის (მსმენელის) ცოდნის შემოწმება უნდა უკავშირდებოდეს მის (მსმენელის) საქმიანობას, იმის გამორკვევას, თუ რამდენად ატარებს იგი ცხოვრებაში თეორიულად შესწავლილ საკითხებს. მსმენელთა ცოდნის შემოწმების დროს უნდა მიექცეს ყურადღება განსაკუთრებით ორ მომენტს; **მსმენელის მიერ დამუშავებული მასალის შეთვისების ხარისხს და მის საფუძველზე კომუნისტების ავანგარდული როლის ამაღლებას.**

პარტგანათლების სკოლების მსმენელთა ცოდნის შემოწმებასთან ერთად უნდა ჩატარდეს მოსამზადებელი მუშაობა შემოდგომა - ზამთრის პარტგანათლების ქსელის მოწყობისათვის. ამ შემოწმებამ ზუსტად უნდა შეაფასოს თითეული მსმენელის მომზადების დონე, რათა საშემოდგომო - საზამთრო პარტგანათლების სკოლებში — სწორად ჩატარდეს, მსმენელთა დაკომპლექტება; ისეთი მსმენელები, რომელთაც სუსტად, აქვთ შეთვისებული მასალები, დატოვებულ უნდა იქნან იმავე საფეხურის სკოლაში.

ცენტრალური კომიტეტი უაღრესად დიდ ყურადღებას აქცევს ამ საქმეს და ავალებს საოლქო და სარაიონო პარტიული კომიტეტების მდივნებს. **პირადად უხელმძღვანელონ პარტგანათლების სკოლების მსმენელთა გამოშვებას.**

„ყვავს არ ქონდა, გუს გაქონდა"

(სამტრედია, საკუთ. კორესპონდენტისაგან)

ლენინ - ხიბლარის სტურუას სახელობის კოლმეურნეობის პარტიული განათლების სკოლამ სულ ცოტა ხანში 3 პროპაგანდისტი გამოიცვალა, თვითეული მათგანი თავისებური მეთოდისა და ცოდნის პატრონი იყო, როგორც ჩვეულებრივ ადამიანები — ისინიც ერთიმეორისგან განსხვავდებოდენ ცოდნით (საუბედუროდ არცერთი მათგანი არ იყო საკმაო ცოდნით აღჭურვილი) ენერგიით და მსმენელებისადმი მიდგომის მეთოდით.

ჯერ იყო ლენინ - ხიბლარის კოლმეურნეობასთან არსებულ პარტგანათლების სკოლის პროპაგანდისტად დანიშნეს ამხ. **ჯოხაძე**, იგი ხშირად აცდენდა მეცადინეობას და მალე მოხსნეს, შემდეგ დანიშნეს ტექნიკუმის გამგე ამხ. **მიქაძე**. მალე ისიც გამოიცვალეს და მის ნაცვლად აღნიშნული პარტგანათლების სკოლის ბედიღბალი განთავისუფლებულ პროპაგანდისტს ამხ. ვ. **ბოხუას** მიანდვეს. ამხ. ბოხუა ერთგულად ჩაუდგა სათავეში პარტგანათლების საქმეს. იგი ხელმძღვანელობს პარტგანათლების ორ სკოლას, (კოლმეურნეობასა და სოფ. კულაშის პირველად პარტორგანიზაციასთან არსებულ პარტსკოლას). მაგრამ მარტო ერთგულება არ შველის საქმეს. მარტო ის გარემოება, რომ პროპაგანდისტი თავის დროზე მიდიოდეს მეცადინეობაზე, ვერ უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს. საჭიროა პროპაგანდისტი თვით იყოს მაღალი კვალიფიკაციის, ჰქონდეს ცოდნა, ამხ. ბოხუას კი კვალიფიციურ პროპაგანდისტამდე ჯერ კიდევ ბევრი რამ აკლია. მისი ერთი უდიდესი ნაკლი ის არის, რომ არ კითხულობს ჟურნალ - გაზეთებს. მას არ წაუკითხავს საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის გამოცემული დადგენილება პარტგანათლების საქმეში „ხმაურობის" შესახებ. ის სრულიად გულახდილად აცხადებს: მე მინდა პოლიტომის, ან პოლიტლაბორატორიის მოწყობა პარტგანათლების სკოლებში; მაგრამ ჯერჯერობით არ ხერხდებაო. მაშასადამე, ჩანს, რომ ამხ. ბოხუა პარტიული პროპაგანდის მეთოდურ საკითხებს არ იცნობს. კიდევ მეტიც, როდესაც მას დაუსვეს კითხვა, როგორ ამუშავებს თემებს პარტგანათლების სკოლაში, საკითხებს უკავშირებს თუ არა ადგილობრივ ორგანიზაციის მუშაობის მომენტებს, ამ შეკითხვაზე მან გაკვირვებით უპასუხა: ეგ როგორ არის არ ვიცი, მაგვარ მუშაობის შესახებ რაიკომიდან ჯერ არავითარი ცნობა არ მიმიღიაო.

გამოდის, რომ თეორიისა და პრაქტიკის დაკავშირებისათვის, თურმე საჭიროა რაიკომმა სპეციალური ცნობა მისცეს პროპაგანდისტებს.

მეტი შეიძლება ითქვას ამ პროპაგანდისტის სუსტი მხარეების შესახებ, მაგრამ ესეც საკმარისია იმისათვის, რომ დავასკვნათ: ბოხუა პროპაგანდისტობისათვის ჯერ კიდევ არ არის მზად. ამხ. ბოხუას მაგალითი არაა გამონაკლისი.

სამტრედიის რაიონში მომუშავე პროპაგანდისტების კადრი სერიოზულად უნდა შემოწმდეს და უცოდინარები ვინც საკუთარ თავზე არ მუშაობს, ყოველდღიურად არ ამაღლებს თავისი მომზადების დონეს, დაუყოვნებლივ უნდა ჩამოშორდეს პარტიული პროპაგანდის საქმეს.

ალ. გვინჩიძე.

ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის

კ. გორდელაძე

1

კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის და გამოყენების საკითხი სოციალისტური რეალიზმის ერთერთი ძირითადი პრობლემაა. სოციალიზმის მშენებლობასთან ერთად ჩვენ ვქმნით პროლეტარულ კულტურას. დღეს არცერთ საღად მოაზროვნე ადამიანს არ შეუძლია იმის უარყოფა, რომ სოციალიზმის მშენებლობის პრაქტიკამ, ლენინური პარტიის და მისი გენიალური ბელადის ამხ. სტალინის ხელმძღვანელობით დაამსხვრია ტროცკისტული კონტრ-რევოლუციური თეორია იმის შესახებ, თითქოს შეუძლებელი იყოს პროლეტარული მატერიალური და სულიერი კულტურის შექმნა. ამას მტკიცება აღარ სჭირდება. ის ისედაც ცხადია.

პროლეტარული კულტურა პირდაპირი უარყოფაა ბურჟუაზიული კულტურის. ის მისი პირდაპირი წინააღმდეგობაა. ეს ორი კულტურა, ორი, პრინციპიალურად სრულიად სხვადასხვა მოვლენაა. აქ საქმე გვაქვს ერთი თვისების მეორე თვისებით უარყოფასთან. მაგრამ ეს უარყოფა არ უნდა იქნას გაგებული მექანისტურად, ისე თითქოს ეს იყოს აბსტრაქტული უარყოფა, აბსტრაქცირება იმისაგან, რაც უარყოფის საგანს წარმოადგენს „დიალექტიკა საერთოდ — შენიშნავდა ამხ. ლენინი, — მდგომარეობს პირველი დებულების უარყოფაში, ამ დებულების შეცვლაში მეორე დებულებით (იმაში, რომ პირველი მეორეში გადადის, პირველის მეორესთან კავშირის აღნიშვნაში).

(ლენინი „философские тетради" გამოცემა 1934 წ., გვ. 216).

როდესაც ამ თვალსაზრისით მივუდგებით ბურჟუაზიული და პროლეტარული კულტურის ურთიერთობის საკითხს, დავინახავთ, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს რა პირველის უარყოფას და [illegible]გდებას, ამავე დროს ღებულობს მისგან [illegible] კი დადებითი იყო მასში, რაც კი გამოადგებოდა მას. ლენინი შეუწყნარებლად ებრძოდა მეტაფიზიკოსს ა. ბოგდანოვს და მის მომხრეებს, რომლებსაც პროლეტარული კულტურის შექმნა წარმოდგენილი ჰქონდათ ბურჟუაზიული კულტურის დადებით მემკვიდრეობის კრიტიკულ შესწავლის, შეთვისების და მისი პრაქტიკულად გამოყენების გარეშე.

ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის შესწავლას ლენინი სთვლიდა კულტურული რევოლუციის განხორციელების ერთ ერთ ძირითად პირობად. უამისოდ ლაპარაკი სოციალისტური კულტურის შექმნაზე. კულტურული რევოლუციის განხორციელებაზე მას სამართლიანად მიაჩნდა მეტაფიზიკურ ლაყბობად. ამ შემთხვევაში, ისე როგორც ყველა საკითხში, ლენინი თანმიმდევრობით ხელმძღვანელობდა მატერიალისტური დიალექტიკით, ამიტომ მას კარგად ჰქონდა წარმოდგენილი, რომ არაფრისაგან არაფრის შექმნა არ შეიძლება. სოციალისტური მატერიალური და სულიარი კულტურა შეუძლებელია შეიქმნას განვლილი ისტორიული ეპოქის მემკვიდრეობის ყოველმხრივ გამოყენების გარეშე. ა. ბოგდანოვის ფილოსოფიით რომ გვეხელმძღვანელა, ჩვენ ვერ ავაგებდით სოციალიზმის ეკონომიურ ბაზას, ვერ შევქმნიდით და ვერ განვავითარებდით სოციალისტურ მეურნეობას, რადგან ყოველივე ამისი შექმნა მოითხოვდა ბურჟუაზიული მემკვიდრეობის გამოყენებას, ნაციონალიზებულ საწარმოო ძალთა, ინჟინრების, ტექნიკების, აგრონომების და სხ. გამოყენებას მატერიალურ კულტურის დარგში, მწერლობის, მხატვრობის, თეატრების და სხ. გამოყენებას სულიერი კულტურის სფეროში

1920 წელში, რ. ა.-კ. კავშირის მე-3 ყრილობაზე ლენინის მიერ წარმოთქმული სიტყვის ძირითადი იდეა ეხება ზემოაღნიშნულ საკითხის გარკვევას. ის ამ მხრივ პირდაპირ მიმართული იყო „პროლეტკულტის" მოღვაწეობის წინააღმდეგ, მის ხელმძღვანელთა, ბოგდანოვის ჯგუფის მეტაფიზიკური თეორიის წინააღმდეგ. აი რას ამბობდა ლენინი: „თუ არ გვექნება იმის ნათელი გაგება, რომ მხოლოდ კაცობრიობის მთელი განვითარებით შექმნილი კულტურის ზუსტი ცოდნით, მხოლოდ მისი გადამუშავებით შეიძლება პროლეტარული კულტურა, — თუ არ გვექნება ასეთი გაგება, უამისოდ ამ ამოცანას ჩვენ ვერ გადავჭრით. პროლეტარული კულტურა როდია ისეთი რამ, რომელიც არ ვიცი თუ საიდან გამოხტა, იგი როდი არის იმ ადამიანთა გამოგონილი, რომელნიც თავის თავს პროლეტარული კულტურის სპეციალისტებს უწოდებენ. ეს თავიდან ბოლომდე სისულელეა პროლეტარული კულტურა უნდა მოგვევლინოს ცოდნის იმ მარაგთა კანონზომიერ განვითარებად, რომელიც კაცობრიობამ გამოიმუშავა კაპიტალისტური საზოგადოების, მემამულეთა საზოგადოების ჩინოვნიკური საზოგადოების კირთებ ქვეშ ყველა ამ გზასა და ბილიკს მივყავდით, მივყევართ და ახლაც განაგრძობს მიყვანას პროლეტარიატის დიქტატურისაკენ, ისევე, როგორც მარქსის მიერ გადამუშავებულმა პოლიტიკურმა ეკონომიამ გვიჩვენა ის, რასთანაც უნდა მოვიდეს ადამიანთა საზოგადოება. დაგვანახვა გადასვლა კლასობრივ ბრძოლაზე, პროლეტარული რევოლუციის დასაწყისზე" (ლენინი. ტ. XXV, გამ. მე-3, გვ. 387).

ასეთ დიდ მნიშვნელობას აკუთვნებდა ლენინი ფეოდალურ - ბურჟუაზიული ეპოქის კულტურული მემკვიდრეობის შესწავლას სოციალისტური კულტურის შექმნის საქმეში ამითი აიხსნება, რომ ლენინი დიდი ყურადღებით ეპყრობოდა ბურჟუაზიული სპეციალისტების გამოყენების საქმეს სოციალისტურ მშენებლობაში. ის პირდაპირ აყენებდა საკითხს იმის შესახებ, რომ გვესწავლა მათგან, ფართოდ გამოგვეყენებია მათი ცოდნა და გამოცდილება, წინააღმდეგ შემთხვევაში, — გვაფრთხილებდა ლენინი — ჩვენ ვერ შევქმნით სოციალისტურ წესწყობილებას და ვერ აღვზრდით საკუთარი პროლეტარულ სპეციალისტების კადრებს. ასევე მსჯელობდა ლენინი პროლეტარულ კულტურის იდეოლოგიურ ფორმათა შექმნის საკითხების გარშემოც.

ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის შესწავლისა და გამოყენების საკითხი არავითარ შემთხვევაში ისე არ უნდა გავიგოთ, თითქოს ის უშუალოდ ეზრდებოდეს პროლეტარულ კულტურას, თითქოს პირდაპირ გადადიოდეს მასში. ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის გამოყენებისათვის პროლეტარული კულტურის შექმნის საქმეში **საკმარისი როდია მისი უბრალო შესწავლა.** ბურჟუაზიულ კულტურის მემკვიდრეობის გამოყენებას თავისი განსაკუთრებული მეთოდი, ფორმა, ხერხი და გზები აქვს. აქ ძირითადი მეთოდი ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის **კრიტიკული გადამუშავებაა კლასობრივი ბრძოლის პროცესში** პირდაპირი უკუგდება მისი ყველა უარყოფითი მხარის, განსაკუთრებით მისი რეაქციონური შინაარსის, მსოფლმხედველობის ჩვენ უნდა შევძლოთ ზუსტად განვსაზღვროთ ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის დადებითი და უარყოფითი მომენტები პირველი კრიტიკულად უნდა გადავამუშაოთ და ამის შემდეგ პრაქტიკულად გამოვიყენოთ, ხოლო მეორე პრინციპიალურად უკუვაგდოთ. ამრიგად მარქსიზმ-ლენინიზმი უარყოფს ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის პროლეტარულ კულტურაში შეზრდის თეორიას, უარყოფს იმას, თითქოს პროლეტარული კულტურის შექმნა შეიძლებოდეს „თვითდინების" წესით, ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის სქოლური შესწავლის წესით. მარქსიზმ-ლენინიზმი მოითხოვს მის კრიტიკულ გადამუშავებას. სოციალისტური კულტურა იქმნება შეუპოვარი კლასობრივი ბრძოლის პროცესში.

2

როგორ უნდა ვუდგებოდეთ მარქსისტულ-ლენინურ თეორიის თვალსაზრისით კლასიკოსების შეფასებას? რა მოთხოვნილებას უყენებს სოციალისტური რეალიზმის მეთოდი ლიტერატურულ კრიტიკას კლასიკური ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასებაში? რა საზომით უნდა მივუდგეთ კლასიკოსების ლიტერატურული მემკვიდრეობის შეფასების საკითხებს, რომ სისწორით გამოვარკვიოთ მისი უარყოფითი და დადებითი მხარეები?

ხშირად ლიტერატურული კრიტიკის ერთ ერთ ძირითად ნაკლს წარმოადგენს ის გარემოება, რომ ამათუიმ მწერლის შემოქმედების შეფასების დროს მარქსისტულ-ლენინურ მეთოდოლოგიას შაბლონურად იყენებენ. მარქსისტულ - ლენინური მეთოდოლოგია არავითარ წინასწარ შემუშავებულ სქემას არ ემორჩილება. წინააღმდეგ შემთხვევაში ის სახელმძღვანელო მეთოდი კი არ იქნებოდა, არამედ ისეთი რამ, რაც მასალის წინასწარი დამუშავების გარეშე თითქოს უკვე მზამზარეულ პასუხს იძლეოდა.

„მატერიალისტური მეთოდი, — წერდა ენგელსი პ. ერნსტს — თავის მოპირდაპირებად იქცევა, როდესაც მას იყენებენ არა როგორც სახელმძღვანელო ძაფს ისტორიული კვლევის დროს, არამედ როგორც მზამზარეულ შაბლონს, რომლის თარგზეც ახდენენ ისტორიული ფაქტების გამოჭრას". მაგ., მარქსისტულ - ლენინური მეთოდოლოგიის შაბლონურად გამოყენებასთან გვაქვს საქმე, როდესაც ნაცვლად იმისა, რომ მისი თვალსაზრისით შევისწავლოთ საკითხი, თუ რომელი ისტორიული ეპოქის და რომელი კლასების პოლიტიკური ინტერესების წარმომადგენელი იყო თავისი შემოქმედებით, ესათუ ის მწერალი, ვკმაყოფილდებით იმის აღნიშვნას, თუ რომელ კლასს ეკუთვნოდა მწერალი თავისი სოციალური მდგომარეობით. საკითხისადმი ისეთი მიდგომა შეცდომით მარქსისტულ-ლენინურ მეთოდის სწორ გამოყენებად სალდებოდა.

ნამდვილი მარქსისტულ - ლენინური ანალიზი პირველ რიგში მოითხოვს იმის წინასწარ გამორკვევას და შესწავლას, თუ რომელ ისტორიულ ეპოქის წარმომადგენელია ესათუის მწერალი, რომელი კლასების პოლიტიკურ ინტერესებს ამჟღავნებს ის თავის შემოქმედებაში. რამდენად მართებულად გადმოგვცემს განსაზღვრული დროის საზოგადოებრივ სინამდვილეს კლასების მდგომარეობას და მათ ურთიერთობას. თავისი მსოფლმხედველობით და ლიტერატურული შემოქმედების შინაარსით მწერალი, როგორც წესი, განსაზღვრული კლასობრივი წრის წარმომადგენელია, მისი ლიტერატურული შემოქმედების წამყვან ტენდენციას განსაზღვრული კლასის პოლიტიკური ინტერესების დაცვა წარმოადგენს. მაგრამ, ამის გვერდით მის ლიტერატურულ შემოქმედებაში არ შეიძლება არ იყოს მოწინააღმდეგე კლასთა მდგომარეობისა და მათი პოლიტიკური მისწრაფების აღწერაც, „მთელი საზოგადოების" მდგომარეობის, მისი ზნეჩვეულებათა აღწერა და სხვა. ეს მოვლენა იმითი აიხსნება, რომ მწერალი იძულებული ხდება „მეორე მხარეც" ასახოს თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში იმ მიზნით, რომ უფრო მკაფიოდ და გარკვევით გვიჩვენოს ის მოვლენები, რომლებითაც ის უშუალოდ არის დაინტერესებული. სხვანაირად რომ ვთქვათ, რაგინდ შეგნებულად და წინასწარი განზრახვითაც არ უნდა ცდილობდეს მწერალი მოახდინოს აბსტრაქცია სინამდვილისგან ის მაინც ამ უკანასკნელის გავლენას ვერ გაექცევა. ვერ გაექცევა იმ შემთხვევაშიც კი, როდესაც, ესათუის მწერალი ვთქვათ უკიდურესი რომანტიკოსია და თავის ლიტერატურულ შემოქმედებაში ამქვეყნიურ საკითხებს გვერდს უვლის. იგი მაინც განსაზღვრული საზოგადოებრივი გავლენის ქვეშ იმყოფება. სწორედ ამ ზეგავლენით აიხსნება, რომ მისი ლიტერატურული შემოქმედება იღებს ასეთს და არა სხვა რაიმე მიმართულებას და ფორმას.

ამის გაუგებლობას უნდა მიეწეროს ის გარემოება, რომ ზოგჯერ კრიტიკა ხელ[illegible] ამათუიმ მწერლის ლიტერატურულ შემოქმედებას იმ მიზეზით, რომ ის ფეოდალური და ან ბურჟუაზიული კლასის მწერალია; იმ მიზეზით, რომ ასეთი მწერალი თავისი მსოფლმხედველობით, პოლიტიკური იდეოლოგიით და მაშასადამე თავისი ლიტერატურული შემოქმედების შინაარსით რეაქციონურია. ასეთი „კრიტიკა", რასაკვირველია, გაცილებით უფრო ადვილი საქმეა, ვიდრე დადებითი ელემენტების მოძებნა მსოფლმხედველობით რეაქციონური მწერლის ლიტერატურულ შემოქმედებაში. **კ. მარქსი** სასტიკ კრიტიკას უწევდა თავის წინამორბედ მატერიალისტს **ლ. ფეიერბახს** იმის გამო, რომ ამ უკანასკნელმა **ჰეგელის** იდეალისტური ფილოსოფია ხელაღებით უკუაგდო, ვერ შეამჩნია მასში და ვერ გამოიყენა ის „**რაციონალური მარცვალი**", რაც დიალექტიკის სახით დადებითს წარმოადგენდა ამ უაღრესად რეაქციონულ ფილოსოფიურ სისტემაში. ამ მაგალითზე ერთხელ კიდევ ნათლად შეგვიძლია დავინახოთ, თუ როგორ უდგება მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგია ბურჟუაზიულ კულტურულ მემკვიდრეობას.

რა შეიძლება იყოს დადებითი, ჩვენთვის გამოსაყენებელი, შინაარსით თუნდაც უაღრესად რეაქციონურ ლიტერატურულ შემოქმედებაში, ლიტერატურულ მემკვიდრეობაში? პასუხს ამ კითხვაზე იძლევა ხელოვნების, მხატვრული ლიტერატურის **სპეციფიკა**, რომლითაც ის განსხვავდება კულტურის სხვა დანარჩენ იდეოლოგიურ ფორმებისაგან, როგორიცაა, ვთქვათ, ისტორია, პუბლიცისტიკა, პოლიტიკა და სხვ. შინაარსის მხრივ ესათუის პოლიტიკური მოძღვრება და მხატვრული ნაწარმოები ერთიმეორეს უახლოვდება. მწერალი თავის ლიტერატურულ ნაწარმოებში განსაზღვრული პოლიტიკური მიმართულების მატარებელია. და თუ ის რეაქციონური კლასების ინტერესების დამცველია, მისი ნაწარმოებიც რეაქციონური იქნება ისევე, როგორც ამ კლასების პოლიტიკური მოძღვრება და მისწრაფება. მიუხედავად ამისა, თუ ის მაღალი კულტურის მატარებელი მწერალია, შინაარსით მის რეაქციონურ ლიტერატურულ ნაწარმოებებიდან კიდევ რჩება **ისეთი რამ**, რაც შეიძლება მისაღები გახდეს მისი კრიტიკული გადამუშავების შემდეგ ყველაზე უფრო მოწინავე რევოლუციურ კლასისათვისაც კი. ეს **რაღაც** მდგომარეობს ლიტერატურული ნაწარმოების **მხატვრულ ფორმებში, ნაწარმოების საგნის, შინაარსის, მოვლენის სიტყვიერი ასახვის ხერხებში, მხატვრული სახეების შექმნის დახელოვნებაში, სიტყვის მაღალ კულტურაში და სხ.** აი რა არის დადებითი და მისაღები მსოფლმხედველობით და პოლიტიკური მიმართულებით რეაქციონურ მწერლების ლიტერატურულ შემოქმედებაში. ამ დადებითი მხარეების მიღება, მათი შესწავლა და გამოყენება **უნდა ხდებოდეს მათი კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე იმიტომ, რომ ლიტერატურული ნაწარმოების მხატვრული ფორმაც არ დგას კლასობრივი გავლენის გარეშე**, რადგან ფორმა და შინაარსი მჭიდროდ არიან ურთიერთშორის დაკავშირებული, ისინი ერთიმეორეზე გავლენას ახდენენ. ამრიგად შინაარსის მხრივ რომელი მაღალი კულტურის რეაქციონური მხატვრული ნაწარმოებიც არ უნდა ავიღოთ, მასში მაინც არის დადებითი მომენტები, რომლებიც უსათუოდ უნდა იქნას გამოყენებული პროლეტარული კულტურის შემდგომი გაძლიერებისა და განვითარებისათვის.

ამითი აიხსნება, რომ ლენინი და მასთან ერთად მთელი ჩვენი პარტია ოქტომბრის რევოლუციის პერიოდში, სამოქალაქო ომის ხანაშიც კი უდიდესი ყურადღებით ეპყრობოდა ბურჟუაზიული კულტურის მემკვიდრეობის დაცვას, რათა ის გამოყენებული ყოფილიყო პროლეტარული კულტურის შექმნისათვის. ლენინის წინადადებით მოსკოვის დიდი თეატრი დატოვებულ იქნა, მიუხედავად მისი ბურჟუაზიული შინაარსის და ხასიათისა. ლენინის მითითებით გამოიცა რუსული მწერლობის კლასიკოსები, მიუხედავად მათი ლიტერატურული შემოქმედების აშკარა რეაქციონური ფეოდალურ-ბურჟუაზიული შინაარსისა. რუსეთში კრიტიკა არ საზღვრავს თავის ფარგლებს მხოლოდ თანამედროვე მწერლობით. იქ ბევრი გაკეთდა და კეთდება წარსული ეპოქის, ფეოდალურ-ბურჟუაზიულ ლიტერატურული მემკვიდრეობის მარქსისტულ-ლენინური შესწავლის საქმეში. მისი მარქსისტულ ლენინური კრიტიკული გადამუშავების საფუძველზე.

3

ამ მხრივ საქართველო საგრძნობლად ჩამორჩა, მიუხედავად თვალსაჩინოდ მდიდარი ობიექტისა ლიტერატურული მემკვიდრეობის დარგში. ჩვენში ლიტერატურული კრიტიკის ახალი კადრები ძირითადად მხოლოდ თანამედროვე მწერლობით არიან დაინტერესებულნი. ფეოდალურ-ბურჟუაზიული ეპოქის ლიტერატურის განხილვას და შესწავლას ჯეროვან ყურადღებას არ აქცევენ. ქართულ ლიტერატურას ჰყავს მსოფლიო მნიშვნელობის მწერლები, რომელთა ლიტერატურული შემოქმედება არასოდეს არ ამოიშლება ისტორიიდან. ასეთები არიან პირველ რიგში: **შოთა რუსთაველი, ნ. ბარათაშვილი და ილია ჭავჭავაძე. შემდეგ აკაკი წერეთელი, ვაჟა-ფშაველა, ალექსანდრე ყაზბეგი, ე. ნინოშვილი და სხ.** დღეს ყოველგვარი საჭირო პირობა არსებობს იმისათვის, რომ ამ გამოჩენილ მწერლების ლიტერატურული მემკვიდრეობა გულდასმით იქნას განხილული და შესწავლილი მარქსისტულ-ლენინურ თვალსაზრისით.

თავისთავად ცხადია, რომ საამისო პირობები ამ ოცი და ოცდაათი წლის წინად შედარებით უმნიშვნელო იყო. განსაკუთრებით ეს ითქმის ისეთი მწერლის ლიტერატურული შემოქმედების შეფასებაზე, **როგორიც ილია ჭავჭავაძეა.** ეს უკანასკნელი ამავე დროს იყო პოლიტიკური მებრძოლი, განსაზღვრული კლასობრივი ხაზის გამტარებელი, მისი კლასის ინტერესების თავგამოდებული დამცველი და მებრძოლი, რომელიც მწერლობას უთავსებდა ყოველდღიურ გაზეთის „ივერიის" რედაქტორობას, პუბლიცისტობას, საბანკო და სახელმწიფო მოღვაწეობას. ამიტომ დღემდე კრიტიკულ ლიტერატურაში ილია ჭავჭავაძის შესახებ მეტი ადგილი აქვს დათმობილი მისი მოღვაწეობის ამ მხარეს ვიდრე ილიას მხატვრული ლიტერატურულ შემოქმედებას, მაგრამ ეს კიდევ არაფერი. იმის გამო, რომ ილია ჭავჭავაძე არა მხოლოდ თავისი ლიტერატურული შემოქმედების შინაარსით, არამედ თავისი ყოველდღიური პოლიტიკური მოღვაწეობით რეაქციონური მიმართულების წარმომადგენელი იყო, ნებით თუ უნებლიედ, მაგრამ ფაქტად რჩება ის, რომ **ის ვერ არის სათანადოდ შეფასებული,**

ი. ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლისათვის სრულებით არ არის საჭირო და დაუშვებელიცაა დავივიწყოთ მისი პოლიტიკური მსოფლმხედველობის მიმართულების რეაქციური ხასიათი და ის გამოვაცხადოთ ფეოდალურ ურთიერთობათა პრინციპიალურ მოწინააღმდეგედ ან სოციალისტად, როგორც ეს მოუვიდა განსვენებულ ცნობილ ისტორიკოს და ლიტერატურის მკვლევარს ამხ. ს. ხუნდაძეს და ახალგაზრდა ლიტერატორების ერთ ჯგუფს. ამ ჯგუფის ფედერალისტურ რეციდივიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში ახალგაზრდა კრიტიკოსების მეორე ჯგუფმა დაუშვა მემარცხენო ხასიათის შეცდომები ი. ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობის შეფასებაში.

მარქსისტულ - ლენინური მეთოდოლოგია გვავალდებულებს თვითეული მწერალი განვიხილოთ და შევისწავლოთ იმ სახით, როგორც ის მოცემული წრის თავის კლასობრივი მსოფლმხედველობით და ლიტერატურული შემოქმედების შინაარსით, რადგან როგორც აღვნიშნეთ იმ შემთხვევაშიაც — თუ ამ მხრივ მწერალი რეაქციონური და მიუღებელია, მის შემოქმედებიდან მაინც რჩება დადებითი მხარეები, რომლითაც ჩვენ შეგვიძლია ვისარგებლოთ. **როგორ უნდა მივუდგეთ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურულ მემკვიდრეობის შეფასებას და შესწავლას?** ხშირად ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული შემოქმედების შეფასებას არ უდგებიან **ისტორიული საზომით** ე. ი. მხედველობიდან უშვებენ იმ გარემოებას, რომ ის არა ერთი ან ორი ათეული წლის, არამედ თითქმის ორმოცდაათი წლის განმავლობაში მოღვაწეობდა სალიტერატურო, პოლიტიკურ საზოგადოებრივ და სახელმწიფო ასპარეზზე. ილიას სამწერლო მოღვაწეობა დაიწყო 60-იან წლების დასაწყისში და განაგრძობდა მას თავისი სიცოცხლის უკანასკნელ წუთებამდე, ე. ი. 1907 წლამდე. შეცდომა იქნებოდა გვეფიქრა, რომ ამ ნახევარი საუკუნის მანძილზე არავითარი ცვლილება არ მომხდარიყოს ილიას მსოფლმხედველობაში, მის პოლიტიკურ მოღვაწეობასა და ლიტერატურულ შემოქმედებაში. რა თქმა უნდა, ცვლილება მოხდა. **ამ მხრივ ილიას შემოქმედება ორ ძირითად პერიოდად იყოფა.** პირველი პერიოდი ილიას შემოქმედებაში მთავრდება საქართველოში ბატონ-ყმობის გაუქმების მომენტით. მეო-

ვიბრძოლოთ

8.710.000 ქილა კონსერვებისათვის

(გორი, ჩვენი საკ. კორესპონდენტისაგან)

გორის საკონსერვო ქარხანამ მიმდინარე წელს უნდა დაამზადოს 8.710.000 პირობითი ქილა კონსერვი. როგორ იბრძვის ქარხანა დავალების შესრულებისათვის?

1934 წლის პირველ ნახევარში გეგმა 115,8 პროცენტით შესრულდა (70.000 პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად გამოუშვა 81.100 ქილა). ამავე ხნის განმავლობაში გეგმის გარეშე დამზადებულ იქნა 20.400 ქილა პავიდლო.

მაგრამ ქარხანამ უკანასკნელად შეანელა მუშაობა. ივლისში გათვალისწინებული 235.000 პირობითი ქილა კონსერვის ნაცვლად გამოუშვა 216.081 ქილა, რაც გეგმის 92 პროცენტს შეადგენს, აგვისტოში გამომუშავებულ უნდა იქნას 1.463.000 ქილა, აქედან 8 აგვისტოსათვის დამზადებული იყო 85.653 ქილა (თვიური გეგმის 5,8 პროც.). ჩამორჩენის მთავარი მიზეზია ნედლი მასალის მოუმარაგებლობა; ქარხანაში ჩამორჩენილია სათუნუქე საამქრო (გამგე **ალნიაშვილი**) მას ივლისში უნდა დაემზადებია 310.000 ცალი კოლოფი, ფაქტიურად დაამზადა 100.000 ცალი; საჭირო მასალის მოუმარაგებლობის, გამო № 1 მანქანა მე-2 და მე-3 კვარტალში უმოქმედოდ დგას. ახლა საამქროში მუშაობა წარმოებს ხელით და დღიურად 3.000 კოლოფი ძლივს მზადდება. ამავე საამქროში მუშები არ არიან უზრუნველყოფილი სპეცტანსაცმელით, არ აქვთ პირსაბანი, პირსახოცები, ჩვრები და სხვ.

უტილნედლეულის საამქროში ადგილი აქვს მუშა - ხელის დენადობას.

სატომატო საამქროში ნაცვლად 80 კაცისა მუშაობს 50. აქ ხშირია სამუშაო დღეების გაცდენა. მაგალითად, 7 აგვისტომდე მუშების მიერ გაცდენილია 24 შრომადღე. ამავე საამქროს ზოგჯერ ორთქლიც აკლდება. მაგალითად, 3 აგვისტოს ამ მიზეზით გაცდა 16 მუშა. 7 აგვისტოს მანქანები გაჩერებული იყო.

ქარხანაში მოწინავეა მთავარი საამქრო (გამგე ამხ. **დავით გასიტაშვილი**), რომელმაც მეორე კვარტალის გეგმა შეასრულა 121 პროცენტით. საამქროში გამოდის კედლის გაზეთი. აქ დაცულია სისუფთავე. მუშები უზრუნველყოფილი არიან წინსაფრებით, პირსახოცებით და სხვ. საამქროს ჰყავს საუკეთესო დამკვრელები: **ყანჩაველი, ინაური, მოციქულაშვილი, მამულოვი, შევჩენკო, გუგაევი.** საამქროში არის დეფექტებიც, მაგალითად დღემდე შეუკეთებელია კოლოფების საბეჭდი მანქანა და სტაფილოს საჭრელი მანქანა. აგრეთვე, საამქროს შენობის ფანჯრებს არ აქვს ჩასმული მინები.

ქარხნის ნედლეულით მომარაგების საქმე ძალზე ცუდ მდგომარეობაშია. აქ მოდის ნედლეული სხვა რაიონებიდან, მაგრამ იგი უვარგისია (გზაში დაგვიანების გამო). 3 აგვისტოს მიღებული 1 ვაგონი ბადრიჯანის 15 პროცენტი დამპალი აღმოჩნდა. 5 აგვისტოს სამტრედიიდან მიღებული 3 ვაგონი მსხლის 23 პროცენტი უვარგისი გამოდგა. ამავე დროს, რაიონის კოლმეურნეობებში დაკონტრაქტებული ხილ-ბოსტნეულის მოვლა - პატრონობას არ ექცევა ყურადღება (ბერჩუკი, ტინისხიდი, თედოწმინდა, ორთაშენი, აჭვი).

ქარხნის ხელმძღვანელობამ და მუშათა კოლექტივმა ენერგიულად უნდა იბრძოლონ ნაკლოვანებათა გამოსასწორებლად. **ა. კირცხალია**

ხე-ტყის დამზადება ივლისში

(საქ. სატყეო ტრესტის ცნობების მიხედვით)

საქართველოს სატყეო მრეწველობა კვლავ სამარცხვინოდ ჩამორჩენილია. მიმდინარე წლის პირველ ნახევარში გეგმით უნდა დამზადებულიყო სულ 303.248 კუბომეტრი ხე-ტყე, უნდა გამოზიდულიყო 258.167 კუბომეტრი. **ფაქტიურად არც ერთი დავალება არ შესრულებულა.** დამზადების გეგმა შესრულებულია —84,8 პროცენტით, გამოზიდვის—69,9 პროცენტით, შეუსრულებელი დარჩა აგრეთვე დაცურების გეგმა. გეგმით გათვალისწინებული 57.690 კუბომეტრი ხე-ტყის დაცურების ნაცვლად, დაცურებულია მხოლოდ 35.628, გეგმის—61,8 პროც.

არც ივლისში მომხდარა გარდატეხა, პირიქით, მდგომარეობა გაუარესდა კიდეც ივლისში ხე-ტყის დამზადების გეგმა შესრულდა 19,6 პროცენტით, გამოზიდვის —33,7 პროცენტით, ხოლო დაცურების (სამასალე ხეები)—29,8 პროც. (შეშის 20,7 პროც.).

საანგარიშო თვეში ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვის და სამასალე ხეების დაცურების გეგმის შესრულება ცალკე სატყეო-სამრეწველო მეურნეობების მიხედვით ასეთ სურათს იძლევა (პროცენტებში).

	დამზადება	გამოზიდვა	დაცურება
კოლხიდის*)	8,1	29,2	27,8
ოზურგეთის	56,1	28,2	0
ქუთაისის	46,5	15,1	0
გორის	0	0	—
ზუგდიდის	2,3	2,0	0
ინგურის	0	51,4	57,9
ქვემო სვანეთის	0	34,0	—
კახეთის	17,2	42,8	—
სტალინისის	88,8	55,5	—
ჭიათურის	0	2,8	—
ხარაგოულის	31,0	29,0	—
მარტვილის	—	0	—
აჭარისტანის	12,3	15,2	20,1
ამბროლაურის	—	52,5	28,1
სამხრეთ-ოსეთი	9,3	7,4	—

---

*) ხაზი სვეტებში იმის მაჩვენებელია, რომ მეურნეობებს დავალება არ ქონდათ, ხოლო—0 დავალება არაა შესრულებული არც ერთი პროცენტით.

როგორც მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, სატყეო სამრეწველო მეურნეობები სისტემატიურად ვერ ასრულებენ ხე-ტყის დამზადების, გამოზიდვის და დაცურების გეგმებს, ამდენადვე ისინი თავის დროზე ვერ აწოდებენ ნედლეულს ხე-ტყის სახერხ ქარხნებს, რის გამო ადგილი აქვს ქარხნების მოცდენას, დახერხვის გეგმების შეუსრულებლობას.

ცალკე ხე-ტყის სახერხი ქარხნების მიხედვით ივლისის გეგმის შესრულება ასეთია (კუბომეტრებში).

	გეგმა.	ფაქტიური.	პროც.
ზუგდიდის	4.980	292	5,8
მცხეთის	3.100	1.423	45,9
ზუგდიდის	4.980	292	5,8
ყულევის	495	189	38,0
ქუთაისის	982	987	100,5
ხარისთვალის	403	306	76,0
ცხინვალის	598	63	10,5
ჭურისხევის	538	128	23,7
საჭილაოს	1.420	1.811	127,5
ჯალაბეთის	ცნობები არ არის		
ბორჯომის*)	56.700	57.269	101,0

მოყვანილი მაჩვენებლები თავისთავად ლაპარაკობენ იმ სამარცხვინო ჩამორჩენაზე, რომლისგანაც თავი დღესაც ვერ დაუღწევია საქართველოს სატყეო მრეწველობას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ტყის მრეწველობის პარტიული, საბჭოთა სამეურნეო და კომკავშირული მუშაკები სათანადოდ არ იბრძვიან სახელმწიფოს ამ უმნიშვნელოვანეს დავალებათა შესრულებისათვის.

სანამ გვიან არ არის, მათ ხელი უნდა მოკიდონ დავალებული საქმის შესრულებას, დაფარონ წლის პირველ ნახევრის და ივლისის დანაკლისი და ბოლშევიკურად შეუდგენ დარჩენილი 5 თვის საწარმოო პროგრამისათვის ბრძოლას.

---

*) ბორჯომის საკასრე ქარხნის მაჩვენებელში იგულისხმება ტკეჩების კომპლექტი.

კონკურსი საუკეთესო მწყემსზე

„გვარამი“ და „გლეხი“

(ჩვენი სპეციალური კორესპონდენტისაგან)

თავის ტოლებში ისინი ნამდვილი გოლიათები არიან. დღითიდღე იზრდებიან და ვაჟკაცდებიან. გრძნობენ თავის უპირატესობას და თავი ამაყად უჭირავთ.

— ვაგლახად წათამაშებას ტოლები ვერ უბედავენ. კუნტრუშსა და ჭიდაობაშიც ხომ პირველები არიან.

უყურებ და არ გჯერა, რომ „გვარამი“ მხოლოდ 3 თვისა და 19 დღისაა, „გლეხი“ კი — სამთვენახევრისა.

გავსინჯოთ მათი პასპორტები.

„გვარამი“ — № 726, დაიბადა 1934 წლის 22 აპრილს. დაბადებისას იწონიდა 42 კილოგრამს. მამა „პოინტერი“ № 204 წმინდა სისხლიანი შვიცი; დედა № 363. წმინდასისხლიანი შვიცი.

„გლეხი“ № 729. დაიბადა 1934 წლის 26 აპრილს დაბადებისას იწონიდა 40 კილოგრამს. მამა „ტარიელი“ №-6, წმინდასისხლიანი შვიცი; დედა № 336, წმინდასისხლიანი შვიცი.

„გვარამი“ და „გლეხი მომავალი“ მწარმოებლები (ბუღები) წმინდა შვიცები არიან, მაგრამ ციხისჯვარში დაბადებულნი.

28 ივლისს „გვარამი“ უკვე 110 კილოგრამს იწონიდა, „გლეხი“ კი 103 კილოგრამს, „გვარამი“ დღეში 701 გრამს მატულობს, „გლეხი“ კი — 677-ს. ისინი უკვე ერთწლიან მოზვრებს გვანან.

ასეთი სწრაფი მატების მიზეზი მარტო ის კი არ არის, რომ ბაკურიან - ციხისჯვრის პირობები ძალიან წააგავს შვიცების სამშობლო — ალპიის მთების პირობებს. მთავარი ისაა, რომ **მიწსახკომის და „კომუნისტი“-ს** მიერ გამოცხადებულ კონკურსში ჩაბმის შემდეგ კიდევ უფრო გაძლიერდა მწყემსების პასუხისმგებლობა და მონდომება.

ციხისჯვარის საბჭოთა მეურნეობის სახბორეებში, ბოსლებში, კლუბში, სასადილოში და ყველგან ნახავთ პლაკატებსა და ლოზუნგებს, რომლებიც კონკურსში პირველობისაკენ მოუწოდებენ. კონკურსის პირობებს ზედმიწევნით იცნობს მეურნეობის თვითეული მუშა და სპეციალისტი. იცნობს და იბრძვის პირველობის მოპოვებისათვის, ციხისჯვარის მეურნეობის გადაქცევისათვის ნამდვილ **სანიმუშო** საჯიშე მეურნეობად.

მათ უკვე დიდი წარმატებები აქვთ მოპოვებული. გასულ წელს ბოსლები და სახბორეები ნაგავითა და ნეხვით იყო სავსე, პირუტყვს არ ჰქონდა საკმაო საკვები, გაძვალტყავებული და ამოსვრილი. დაიარებოდა. ძროხები საშუალოდ დღეში სამ ლიტრზე მეტს ვერ იწველიდენ. ნამატიც მჭლე და სუსტი იყო.

წელს სულ სხვა მდგომარეობაა. გაკრიალებული და გასუფთავებულია როგორც სახბორეები და ბოსლები, ისე მეურნეობის ეზო. პირუტყვი საუკეთესოდ არის გამოკვებილი. გესიამოვნება როცა უყურებ, — ისე სუფთაა და ჩამკვრივებული ხბოები.

მართალია „გვარამი“ და „გლეხი“ განირჩევიან სხვებისაგან, მაგრამ დანარჩენი ხბოებიც სწრაფად მატულობენ წონაში.

კონკურსის პირობით 6 თვის ხბო (შვიცი და მისი მეტისი) 75 კილოგრამს უნდა იწონიდეს. ნამდვილად კი 6-თვიანი ხბოები აქ იწონიან არა 75, არამედ 90 — 150 კილოგრამამდე.

წველადობაც ერთიორად გაიზარდა. გასულ წელს თუ ძროხები სამ ლიტრზე მეტს ვერ იწველიდენ, წელს საშუალო წველადობამ 7,5 ლიტრს გადაამეტა.

ახლა მეურნეობაში გაფაციცებით მუშაობენ ზამთრის საკვების მოსამარაგებლად. თივა 940 ჰექტარზე უნდა აიღონ. აქედან 60 პროც. მეტი ნარიანის მთაზეა ასაღები. თივის აღებაზე მეურნეობას 240 მუშა ჰყავს დაყენებული და მისი ვადაზე აღება უზრუნველყოფილია.

შეიძლება მეურნეობამ ვერ მოასწროს ნარიანის მთიდან თივის გამოზიდვა ციხისჯვარში, მაგრამ საამისოდაც ზომებია მიღებული: მეურნეობას, გასულ ზამთრის გამოცდილების მიხედვით, განზრახული აქვს მთაზე დატოვოს საქონელი. მათთვის მთაზე დამატებით (გასულ წელს აშენებულის გარდა) შენდება თბილი კულტურული ბოსელი და მწყემსების ბინა.

თივის გარდა მეურნეობამ 200 ტონა სილოსი უნდა მოიმარაგოს უკვე დასილოსებულია 71 ტონა ბალახი. გარდა ამისა დაასილოსებენ 160 — 170 ნათეს კულტურებს ასე, რომ მეურნეობა საქონლის საკვებით უზრუნველყოფილი იქნება.

ყოველივე ეს იმისი შედეგია, რომ მეურნეობის მუშათა და სპეციალისტთა კოლექტივს შეგნებული აქვთ თავისი მოვალეობა პროლეტარული სახელმწიფოს წინაშე, მტკიცედ აქვთ გადაწყვეტილი მოიპოვონ პირველობა და კონკურსის პირობების შესრულებით უკლებლივ განახორციელონ მე-17 პარტყრილობის და საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის იენისის პლენუმის გადაწყვეტილებები.

ვინ არის ამ კოლექტივში?

პირუტყვის გულის მესაიდუმლე მწყემსი თედო გიგოლაძე. იგი უკვე 50 წლისაა 34 წელიწადია მწყემსობს. წინათ დღე და ღამ მზიერ - მწყურვალი ტრიალებდა კულაკის ძროხაში და მისი შრომით კულაკი მდიდრდებოდა. ახლა, იგი სოციალისტური მეცხოველეობის მოწინავე დამკვრელია, თვალის ჩინივით უვლის პირუტყვს და 34 წლის განმავლობაში დაგროვილ გამოცდილებას უზიარებს ახალგაზრდა მწყემსებს.

—ამკვრელი ბრიგადირი, უფროსი მესაქონლე **სერგო ბარძიმაძე**, რომელიც მუდამ ნახირში ტრიალებს, ყოველდღე წმენდს და ასუფთავებს პირუტყვს, ურჩევს საძოვრებს, დასასვენებელ ადგილს და ღამე შამხანით ხელში იცავს ნადირისა და ქურდებისაგან.

დამკვრელ მწყემსი **ვასო ელიოსიძე**, რომელიც მხარში უდგას სერგო ბარძიმაძესა და თედო გოგოლაძეს.

ვეტექიმი ან. გუევაკი. ზამთარში ციხისჯვრის მეურნეობის საქონელს პარატიფი ჰქონდა მოდებული, რამაც 18 ხბო იმსხვერპლა. ამ სნეულების წინააღმდეგ პირველად გუევაკმა გამოიყენა მასობრივად პოლიტსამმართველოს საბჭოთა მეურნეობაში (ნავთლუღში) საცდელად დამზადებული შრატი და სიკვდილიანობაც აღმოიფხვრა. გუევაკის გამოცდილების საფუძველზე მეცხოველეობის სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტი შეუდგა შრატის მასობრივად დამზადებას და ამით პირუტყვის პარატიფთან ნაყოფიერ ბრძოლას მტკიცე საფუძველი ჩაეყარა.

უფროსი ზოოტექნიკოსი დ. სპარსიაშვილი, რომელიც უშუალოდ ხელმძღვანელობს პირუტყვის მოვლას, იცის თვითეული ხბოსა და ძროხის მდგომარეობა. საკმარისია ერთი თვალი გადაავლოს რომ მიხვდეს თუ რა აწუხებს საქონელს.

ხუტორის (ნარიანში) გამგე **ქინქლაძე.** ზამთარში მან მსუქნად და უდანაკარგოდ შეინახა მთაში პირველად დატოვებული პირუტყვი. საუცხოოდ მოუარა ნამატს, რომელიც მოგვცეს საზამთროდ დარჩენილმა ძროხებმა.

მეურნეობის დირექტორი **გრ. კუპრაძე,** პარტიული კომიტეტის მდივანი **ს. კუთხაშვილი,** რომლებიც თავისი თავდადებული მუშაობით, საქმის ცოდნითა და სიყვარულით საუკეთესო მაგალითს აძლევენ სხვებს.

თვითეული მწყემსის, მწველავის და სპეციალისტის თავდადებული შრომა — აი რამ უზრუნველყო, წინათ დაქვეითებული ციხისჯვრის მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობის სანიმუშოდ გადაქცევა.

ნ. ტყემალაძე.

საბჭოთა მწერლების ყრილობისათვის

საბჭოთა მწერლების პირველ საკავშირო ყრილობას უდიდესი ისტორიული მნიშვნელობა აქვს.

ც. კ-ის 1932 წლის აპრილის დადგენილების საფუძველზე გაშლილმა ბრძოლამ აამაღლა ქართული ლიტერატურა, წინ წასწია საქართველოს ძირითადი ლიტერატურული ძალები და პროლეტარიატისაკენ მოაბრუნა მწერალთა თვალსაჩინო მასები.

უდაო წარმატებებს მიაღწიეს აგრეთვე საქართველოს ნაცუმცირესობათა საბჭოთა მწერლების სექციებმა. გაუმჯობესდა ლიტერატურული პროდუქცია, სექციებს აქვთ თავისი ბეჭვდითი ორგანოები. უპარტიო მწერლები უშუალოდ მიუახლოვდენ პარტიულ თემებს. მწერალთა შემოქმედებაში მოხდა ძლიერი იდეური ძვრა. გაჩნდენ ახალგაზრდა მწერალთა ნორჩი კადრები. მთელ რიგ ორგანიზაციული ღონისძიებათა მეოხებით, სექციებში შემოღებულია ლიტერატურული კონსულტაცია, ეწყობა შემოქმედებითი დისკუსიები, სადაც მწერალთა ნაშრომებს ფართო ბოლშევიკური თვითკრიტიკის ცეცხლში ატარებენ. მწერლებმა სერიოზულად იწყეს მუშაობა თავის თავზე და სხვ.

პარტიის ც. კ-ის აპრილის გადაწყვეტილების შემდეგ, ჩვენმა მწერლებმა სერიოზული შემოქმედებითი მუშაობა ჩაატარეს. ზოგიერთი მათგანის თხზულება უკვე გამოდის. ა. აკოპიანმა დაწერა ორი პოემა— **„ქალაქი“ და „კინო-პოემა“** და მრავალი ლექსი; **მარკარმა —„ცეცხლოვანი ტალღები“,** —რომანი, რომლის ცალკეულ ნაწყვეტები უკვე გამოქვეყნდა პრესაში; **მ. დარბინიანმა —მოთხრობა „კიკოსის დღიური“** და რომანი **„უკანასკნელი“,** რომელიც უკვე დაიბეჭდა და უახლოეს დღეებში გამოვა; **ჯილავიანმა—მოთხრობები „ტარ უნალა“, „აღწერილობა“; მასიანმა—** მოთხრობები **—„გულწრფელი საუბარი ორ მეგობარს შორის“ და „დამკვრელნი“; მ. პეტროსიანმა —მოთხრობები „მწვერვალებისაკენ“, და „ჩემი ქართველი ამხანაგები“;** მზად არის დასაბეჭდად **პაიარის რომანი „ტფილისის ნისლში“** დასხვ. საქართველოს ბევრმა ახალგაზრდა სომეხმა მწერალმა მოგვცა აგრეთვე დაუმთავრებელი ნაწერი: **ვ. ატრიანმა —„ხევან ზანგი“, ლუსიანმა— „მაიანე“, ვ. სიმონიანმა —„ქურდი“, ბანკორ გავომ —„გერმანელი ქალი სეტო“,** პოღოსიანმა, გრიკმა, ხალატმა, გალჩიანმა, აგაბაბმა და სხვებმა დაწერეს მთელი რიგი ლექსები, საერთოდ 40 ნაბეჭდ ფურცელზე მეტი, თუ არ ჩავთვლით იმას, რაც ახლა იბეჭდება. საკმაოდ ბევრი ლიტერატურა გამოსცა სახელგამმა. ხარისხის მხრივ ამ თხზულებათა უმეტესობა წარმატებად უნდა ჩაითვალოს იმავე ავტორების წინანდელ ნაშრომებთან შედარებით. ყველაფერი ეს ამტკიცებს, რომ აპრილის დადგენილების შემდეგ მწერალთა შემოქმედებითი მუშაობაში დიდი ძვრები მოხდა.

მაგრამ ამასთან ერთად უნდა აღინიშნოს, რომ ჩვენი შემოქმედებითი პროდუქცია და შემოქმედებითი მუშაობა ჯერ კიდევ არ დგას იმ სიმაღლეზე, რომელსაც მოითხოვს სოციალიზმის მშენებელი ქვეყანა. ჩვენი მხატვრულ ნაწარმოებთა გმირები საგრძნობლად ჩამორჩებიან სინამდვილის გმირებს. ჩვენი თხზულებანი არ არის გამსჭვალული სიცოცხლის ხალისით, მოკლებულია ლამაზ ენას, ლამაზ ფორმას, ზოგჯერ თემატიკაც არააქტუალურია. გადაჭრით უნდა გავუსვათ ხაზი, რომ ბრძოლა რომელიც ლიტერატურულ ნაწარმოებთა ხარისხისათვის წარმოებს, დაბალ დონეზეა და რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ შევძელით, პრინციპულ სიმაღლეზე დაგვეყენებინა ხარისხის საკითხი. ხშირად გვიტაცებს რაოდენობა და უგულებელვყოფთ ხარისხს.

ენის ხარისხის საკითხი მჭიდროდ არის დაკავშირებული მუშაობის ხარისხის ამაღლებასთან. ყოველმა მწერალმა უნდა განახორციელოს **მ. გორკის** მითითებანი სტილის შესახებ. ამ მითითებებს გადამჭრელი მნიშვნელობა აქვთ მხატვრული ლიტერატურისათვის, რადგან ენის სიწმინდეზე, აზრის გამოთქმის სიზუსტეზე, ენის სიმახვილესა, ფერადოვნებასა და გამომსახველობაზე სავსებით დამოკიდებულია მხატვრულ ნაწარმოებთა ღირებულება. ამ თვალსაზრისით ჩვენს თხზულებებს ძალიან დიდი დეფექტები ახასიათებს. ჩვენი მწერლების ენა წარმოადგენს სალიტერატურო ენის და პროვინციული კილოკავების ნარევს; ზოგიერთი მწერლის ენა არ არის მკვეთრი, აღსავსეა გაუგებარი, ხელოვნურად შექმნილი, არაფრისმთქმელი, ზედმეტი სიტყვებით. ერთი და იგივე ცნებები, საგნები ან მოქმედებანი მათ თხზულებებში სხვადასხვა სიტყვითაა გამოხატული. ამის დასამტკიცებლად მრავალი მაგალითის მოყვანა შეიძლება.

ბრძოლა ენის სიწმინდისათვის, მისი კულტურულობისა და მრავალფეროვანებისათვის უნდა გაიშალოს მხატვრული შემოქმედების მაღალი იდეური მაჩვენებლებისათვის ბრძოლასთან ერთად, ვინაიდან მხოლოდ ისეთ ენას, რომელსაც გააჩნია მაღალი კულტურა, შეიძლია შექმნას ჩვენი პერიოდის შესაფერი, იდეურად და მხატვრულად გამართული ლიტერატურა. ბრძოლა, რომელიც ენისათვის წარმოებს, არის ბრძოლა მაღალ - ხარისხოვანი საბჭოთა ლიტერატურისათვის.

სომხურმა სექციამ მოაწყო მთელი რიგი შემოქმედებითი დისკუსიები, მაგრამ ჯერ კიდევ ძალიან ცოტაა გაკეთებული მწერალთა მიერ სოციალისტური რეალიზმის, როგორც შემოქმედებითი მეთოდის, ასათვისებლად.

უფრო ცუდ მდგომარეობაშია ჩვენი კრიტიკის ფრონტი: ჩვენი კრიტიკა სრულიადაც არ ეწევა მუშაობას მწერლებთან, არ ცდილობს შეამსუბუქოს მათი შემოქმედებითი გზა, არ სწავლობს მწერლის შემოქმედების სპეციფიკურ თავისებურებებს. ჩვენი კრიტიკა მოკლებულია ობიექტურობას, გულწრფელობას (ეს ყველა კრიტიკოსს როდი ეხება). ობიექტურობას მოკლებული კრიტიკა ლახავს თავის ავტორიტეტს და მწერალი თავის ნაწარმოებს ქმნის ისე, რომ ვერ პოულობს დახმარებას კრიტიკის მხრით. არაობიექტური კრიტიკა ქმნის ისეთ მდგომარეობას, რომ როგორც ამხ. სტეცკი ამბობდა —„რახან კრიტიკაა—აიღე მოზრდილი შეშა და ურტყი თავში მანამდე, ვიდრე ადამიანი უგრძნობლად არ დაეცემა. ეს არ არის კრიტიკა“.

ერთერთი ჩვენი კრიტიკოსი სურხანიანი ობიექტიურ ბოლშევიკურ კრიტიკას მსხვერპლად სწირავს ჯგუფურ ბრძოლას, მხოლოდ იმიტომ, რომ მწერალთა ორგანიზაციამ ერთდროს ბოლშევიკური გულახდილობით მიუთითა მას თავის შეცდომებზე ლიტერატურაში.

რამოდენიმე სიტყვა დრამატურგიის და სომხური დრამის შესახებ.

ყველასათვის ცნობილია პარტიის პოლიტიკა საბჭოთა დრამატურგიის შექმნის და მისი განვითარების საქმეში. თეატრი მუდამ ეხმარება მწერალს დრამატურგიის შექმნაში. მაგრამ სომხურმა სახელმწიფო დრამამ იმის ნაცვლად, რომ დაემყარებია მჭიდრო კავშირი მწერალთა ორგანიზაციასთან, შეექმნა ნორმალური პირობები შემოქმედებისათვის, ზურგი შეაქცია მწერალთა ორგანიზაციას და დაიწყო ორიგინალური პიესების დასამარება. უკანასკნელი წლების განმავლობაში მთელმა რიგმა ჩვენმა მწრლებმა სომხურ სახელმწ. დრამას გადასცეს თავისი ნაწარმოები, მაგრამ ყველა ამ პიესას არქივში უძახეს.

თეატრი ახლა არასახარბიელო მდგომარეობაში იმყოფება, ვინაიდან მან ჩანთქა რა დოტაციის სახით მიღებული დიდი თანხები, წელს თეატრს არ დაუდგამს არც ერთი ორიგინალური პიესა. ამის ნაცვლად მან დასდგა ყოველგვარი ინტერესს მოკლებული და მხატვრულად სუსტი პიესები. თეატრის ახლანდელი მდგომარეობა—უუნარო ხელმძღვანელობის შედეგია.

ახლა ყველას როდი შეუძლია ატაროს მწერლის სახელი. იმისათვის, რომ გახდეს მწერალთა კავშირის წევრი, საჭიროა მაღალხარისხოვანი შემოქმედება. მაგრამ საქართველოს საბჭოთა მწერლების სომხურ სექციას ამ მხრივ დიდი დეფექტები აქვს. თუ გვინდა გვყავდეს სერიოზული მწერლები და ეპოქის შესადარი მაღალხარისხოვანი ლიტერატურა, გვქონდეს, საჭიროა ფართო ბოლშევიკური თვითკრიტიკის დახმარებით აღმოვფხვრათ ყველა ნაკლი, ბოლო მოვუღოთ ჯგუფური ბრძოლის ნაშთებს, შევქმნათ ამხანაგური, შემოქმედებითი, ბოლშევიკური ატმოსფერო, ავამაღლოთ ლიტერატურული კრიტიკის ხარისხი, აღმოვფხვრად მწერალთა პატივმოყვარეობა და თავისთავზე დიდი წარმოდგენა, გავაძლიეროთ მუშაობა ლიტერატურული კონსულტაციისათვის და სხვ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის სომხურ სექციას შეუძლია დიდ წარმატებებს მიაღწიოს, ვინაიდან ამ მუშაობას ხელმძღვანელობას უწევს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი.

განათლების სახალხო კომისრის ბრძანება

1934-35 სასწავლო წლის ორგანიზაციის შესახებ

1. დაწყებით, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში საშემოდგომო გამეორებითი გამოცდები ჩატარდეს სექტემბრის 10-14 რიცხვებში. იმავე ხნის განმავლობაში დასრულდეს სკოლების საორგანიზაციო მუშაობა (კლასების დაკომპლექტების, საბოლოო დაზუსტება, ცხრილის შედგენა სამუშაო გეგმის დაზუსტება და სხვ.), ხოლო, საკ. კ. პ. (ბ) ა.-კ. სამხარეო კომიტეტის დადგენილების თანახმად, **ნორმალური სასწავლო მეცადინეობა დაიწყოს 15 სექტემბრიდან.**

2. სასწავლო წლისათვის სკოლების მზადყოფნის შემოწმება ჩატარდეს დადგენილი დროის აგვისტოს 25-30 რიცხვებში. — სათანადო აქტების შედგენით. განათლების განყოფილებებს და სკოლებს ევალებათ მეცადინეობამდე დარჩენილი დრო გამოიყენონ სასწავლო წლის სამზადისის ყოველგვარი ნაკლის საბოლოოდ გამოსწორებისა და სკოლების ყოველმხრივ მოსამზადებლად წლის განმავლობაში დაუბრკოლებელ მეცადინეობისათვის.

3. სექტემბრის 7-9 რიცხვებში ავტ. რესპუბლიკებსა და ოლქში, ყველა ქალაქსა და რაიონში, სასკოლო სამმართველოს უშუალო ხელმძღვანელობით (ამხ. გოგუაძე), ჩატარდეს დაწყებითი, არასრული საშუალო და საშუალო სკოლების მასწავლებელთა მეთოდური კონფერენციები ახალი სასწავლო გეგმების, შესწორებული პროგრამებისა და ახალი სასწავლო წლის ძირითადი ამოცანების შესწავლა - დამუშავებისათვის.

4. 1934-35 სასწავლო წელი დასრულდეს ქალაქებში —ტფილისში, სოხუმში, ბათომში, სტალინირში, ქუთაისში და ფოთში— დაწყებით სკოლებში —5 ივნისს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 15 ივნისს, დანარჩენ ადგილებში —დაწყებით სკოლებში 15 ივნისს, არასრულ საშუალო და საშუალო სკოლებში 25 ივნისს.

5. პირველი სასწავლო მეოთხედი დასრულდეს 15 ნოემბერს, მეორე —1 თებერვალს. მესამე—31 მარტს, ხოლო მეოთხე —სასწავლო წლის დასასრულს. საზამთრო არდადეგები მოეწყოს პირველი იანვრიდან ხუთმეტ იანვრამდე, ხოლო საგაზაფხულო მეოთხე პუნქტში დასახელებულ ქალაქებში —აპრილის 1-10 რიცხვებში, დანარჩენ ადგილებში 20 მარტს და 20 აპრილის ფარგლებში ათი დღით, კლიმატური და სამეურნეო პირობების მიხედვით.

განათლების სახ. კომისარი
აკ. თათარიშვილი.

აბაშის რაიკოოპერაცია—საბჭოთა კულტვაჭრობის ფრონტზე

აბაშის რაიკოოპკავშირი (თავმჯდომარე **შ. ხვადაგიანი**) რაიონის მშრომელ მოსახლეობას ათი სოფ. კოოპერატივის საშუალებით უწევს მომსახურებას კოოპერაციაში შეკავშირებულა 15691 წევრი.

რაიკოოპკავშირი მთავარ ყურადღებას აქცევს საქონელ ბრუნვას, რის შედეგადაც პირველი კვარტალის სავაჭრო - საფინანსო გეგმა 100,4 პროც., შესრულდა.

მეორე კვარტალის გეგმის მაჩვენებლები უფრო გაიზარდა და 105.3 პროც. მიაღწია.

მაგრამ თუ ავიღებთ ცალკეულ სასოფლო კოოპერატივების საქონელბრუნვის გეგმის შესრულებას დავინახავთ, რომ ზოგიერთი სასოფლო კოოპერატივი სამარცხვინოდ არის, ჩამორჩენილი.

მაგ.. ძველი აბაშის სოფ. კოოპერატივს უნდა გაესაღებია 47.400 მან. საქონელი, გასაღა 32.274 მან. (გეგმის 68 პროც.,) ნაესკაოს სოფ. კოოპერატივმა 110.600 მან. საქონლის ნაცვლად გაასაღა 82.248 მანეთის (გეგმის 74,3 პროც.) და სხვ.,

ცალკეული კოოპერატივების ჩამორჩენა საქონელ ბრუნვაში სავაჭრო დარგის მუშაკთა სუსტი, მოუქნელი ხელმძღვანელობის და ადგილობრივ პარტიული ორგანიზაციების უყურადღებობის შედეგია.

საპაიო გამოსაღების შეგროვება შედარებით დამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს საპაიო შენატანების შეგროვების პირველი კვარტალის გეგმა რაიკოოპკავშირს შესრულებული აქვს 100.5 პროცენტით ხოლო მეორე კვარატლის — 102 პროც.,

მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ ყველა სასოფლო კოოპერატივი კარგად მუშაობს. პირიქით ცალკეულ კოოპერატივები ამ დარგშიც სამარცხვინოდ არიან ჩამორჩენილი. მაგ., სუჯუნის, ხონის, ქოლობნის და სამიქაოს სოფ. კოოპერატივებმა სუსტად იმუშავეს და გეგმა მხოლოდ 40 — 60 პროც., შეასრულეს.

სუსტად არის დაყენებული ახალი წევრების მოზიდვა. 700-ის ნაცვლად მეორე კვარტალში მხოლოდ 159 ახალი წევრია მოზიდული.

რაიკოოპკავშირის უთავბოლო მუშაობის წყალობით მეტად დიდია დებიტორთა დავალიანება. იგი 287.760 მანეთს აღწევს.

ასეთი მუშაობა არაფრად ვარგა. აბაშის რაიკოოპკავშირმა ადგილობრივი პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით დაუყოვნებლივ უნდა გამოასწოროს ეს ნაკლი და მუშაობა მაღალ საფეხურებზე დააყენოს.

არ. გვაზავა

* * *

რე პერიოდი კი შეადგენდა მთელ მის შემდგომ მოღვაწეობას. ამრიგად, ილია ჭავჭავაძე თავისი შემოქმედებით მთლიანად წარმომადგენელია იმ ისტორიული ეპოქის, რომლის განმავლობაში ერთი საზოგადოებრივი ურთიერთობა, ფეოდალიზმი ადგილს უთმობდა მეორეს კაპიტალისტურ საზოგადოებრივ ურთიერთობას. ამ ისტორიულ პროცესის ფონზეა გაშლილი ილიას პოლიტიკური და ლიტერატურული შემოქმედება. ამ ისტორიულ სინამდვილიდან აქვს მას აღებული თავისი ლიტერატურული შრომების თემები.

საქმე იმაში კი არ არის, რომ ილია თავისი სოციალური მდგომარეობით თავადი იყო. განა ცოტა მაგალითის მოყვანა შეიძლება ისტორიიდან, როდესაც ესა თუ ის ისტორიული პიროვნება ემსახურებოდა სულ სხვა კლასის პოლიტიკურ ინტერესებს, მიუხედავად იმისა, რომ ის მოწინააღმდეგე კლასიდან იყო გამოსული? **ილია ჭავჭავაძის მოღვაწეობაში მთავარი ისაა, რომ ის თავისი მსოფლმხედველობით, საზოგადოებრივი მოღვაწეობით და ლიტერატურული შემოქმედებით ფეოდალურ - ბურჟუაზიული კლასების ინტერესის გამომხატველი იყო.** ჩვენში გამეფებულია ლეგენდა იმის შესახებ, თითქოს ილია ჭავჭავაძე ყოველთვის მოწინააღმდეგე ყოფილიყოს კაპიტალიზმის განვითარების და ამითი სურთ დაამტკიცონ მისი რეაქციონერება. ეს სრულებითაც მართალი არ არის, არც იმას აქვს სინამდვილესთან რაიმე საერთო, თითქოს ილია ფეოდალიზმის პრინციპიალური უარისმყოფელი და მის წინააღმდეგ მებრძოლი ~~ყოფილიყოს, როგორც ამას ამტკიცებდა~~ ამ ორიოდე წლის წინათ ~~ხსენებულ~~ კრიტიკოსთა ერთი ჯგუფი.

ერთი შეხედვით მართლაც შეიძლება გვეჩვენოს, რომ ილია ბატონ-ყმობის მტერი იყო, რომ ის ფეოდალიზმის დანგრევას მოითხოვდა, როდესაც წერდა ისეთ უკვდავ ნაწარმოებებს, როგორიცაა **„კაცია ადამიანი?“, „გლახის ნაამბობი“** და **„კაკო ყაჩაღი“**, რომლებშიც მართლა გამათრახებულია ბატონ-ყმობა, ფეოდალური ურთიერთობა მაშ რაშია საქმე?— გაკვირვებული შეეკითხება მკითხველი. თუ კი ეს ასეა, რა საბუთით ვამტკიცებთ ჩვენ, რომ ილია ამ პერიოდში (სამივე ნაწარმოები დაწერილია 60-იანი წლების დასაწყისში) არ გამოდიოდა ბატონყმობის პრინციპიალურ მოწინააღმდეგედ? საქმე იმაშია, რომ ილია ამ პერიოდში, აღნიშნულ ნაწარმოებების სახითაც გამოდიოდა არა ბატონყმობის **დანგრევის** მომხრედ, არამედ მისი **გადაკეთების** მქადაგებლად. არა ფეოდალურ ურთიერთობათა **უარყოფის**, არამედ მისი **ევოლუციის** მომხრედ. ილია თავის კლასის მოწინავე პოლიტიკური იდეოლოგი იყო. ამიტომ ის კარგად ხედავდა იმას, რასაც სხვები სრულიად ვერ ამჩნევდენ. მან კარგად იცოდა, რომ თუ ბატონყმობის არსებული ველური ფორმები კიდევ დიდხანს დარჩებოდა ძალაში, მთელ სისტემას სრული კატასტროფა მოელოდა. ამიტომ იყო, რომ ის თავის აღნიშნულ ნაწარმოებებში შეუბრალებლად ამათრახებდა თავის უკულტურო, ბარბაროსულ, თითქმის პირუტყვებად ქცეულ კლასობრივ მოძმეებს. მას უნდოდა გამოეყვანა ისინი ამ მდგომარეობიდან და ფეოდალური სისტემის მოსალოდნელი კატასტროფა თავიდან აეცილებია. აი რაში მდგომარეობდა ილიას ამ პერიოდის „ოპოზიციურობა“, „რევოლუციონერობა“ და „სოციალისტობა“, რაც ვერ გაიგო ზოგიერთმა თანამედროვე კრიტიკოსმა და ილია ბატონყმობის ნამდვილ უარმყოფელად ~~და თითქმის სოციალისტადაც~~ გამოაცხადეს. მართალია მხოლოდ ის, რომ ამ პერიოდში აღნიშნული მიზეზის გამო ილია ჭავჭავაძე იყო რადიკალურად განწყობილი, იმ დროისათვის პროგრესისტი, მისი მოღვაწეობის მეორე პერიოდიდან განსხვავებით.

გლეხობის „განთავისუფლებამ“ ზემოდან, მტკიცე საზღვარი დაუდვა ილიას აღნიშნულ სახის რადიკალობას და პროგრესისტობას. **გლეხთა რეფორმები ილიამ შეაფასა იმ იდეალების პრაქტიკულ განხორციელებად, რომლებისთვისაც ის იბრძოდა თავისი „კაცია ადამიანით“ და „კაკო ყაჩაღით“ თავისი მოღვაწეობის პირველ პერიოდში. მან დაინახა, რომ გლეხთა რეფორმები ნიშნავს ფეოდალური ურთიერთობათა მშვიდობიან ევოლუციას და არა მის დანგრევას.** ისიც, როგორც ვთქვით, მხოლოდ აქეთკენ მიილტვოდა და ამით აიხსნება, რომ ილიამ 1864 წელში ხელი აიღო თავისი „ოპოზიციური“ ჟურნალის „საქართველოს მოამბის“ გამოცემაზე და მეფისადმი ერთგულმა სახელმწიფო სამსახურისა და საბანკო მოღვაწეობისაკენ გასწია.

როგორც თავისი საზოგადოებრივ-პოლიტიკური მოღვაწეობით, ისე ლიტერატურული შემოქმედებითაც ილია წარმომადგენელი იყო კაპიტალიზმის იმ გზით განვითარების, რომელსაც ლენინი პრუსიულ გზას უწოდებს. გაკვრით ჩვენ ეს აღნიშნეთ 1932 წელში, მოხსენებაში „იდეოლოგიური ფრონტი საქართველოში“. რას გულისხმობს კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა? არა ფეოდალიზმის მოსპობას, არა მის დანგრევას და აფეთქებას, არამედ მის მშვიდობიან ევოლუციას, მის თანდათანობით შეზრდას კაპიტალიზმში, როდესაც კაპიტალიზმის განვითარება პრუსიული გზით მიმდინარეობს, ბატონყმური მემამულეობა, ფეოდალური ლატიფუნდიები კი არ ინგრევიან, არამედ თანდათანობით ღებულობენ კაპიტალისტურ სახეს. კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზა უდიდეს სარგებლობას ეკონომიურ და პოლიტიკურ უპირატესობას ანიჭებს ფეოდალურ კლასს. სამაგიეროდ ის ქმნის პირობებს გლეხობის საშინელი ექსპლოატაციისა და ძველი უვარგისი პოლიტიკური წესწყობილების გახანგრძლივებისათვის. ის აფერხებს ისტორიულ მსვლელობას და ამიტომ ის რეაქციონურია.

აი როგორ ახასიათებდა ლენინი კაპიტალიზმის განვითარების ორ ისტორიულად შესაძლებელ გზას.. „ბატონყმობის ნაშთები შეიძლება აღმოიფხვრას მემამულურ მეურნეობათა გარდაქმნის გზითაც და მემამულური ლატიფუნდიების მოსპობის გზითაც, ე. ი. რეფორმის გზით და რევოლუციის გზით...

ობიექტურად შესაძლებელი ბურჟუაზიული განვითარების ამ ორ გზას ჩვენ ვუწოდებდით პრუსიულ გზას და ამერიკული ტიპის გზას. პირველ შემთხვევაში ბატონყმური მემამულური მეურნეობა ნელა გადაიზრდება ბურჟუაზიულ, იუნკრულ მეურნეობაში, ამასთან გლეხებს განუმზადებს ათეული წლობით უსაშინელეს ექსპროპრიაციას და კაბალას, ხოლო ამავე დროს გამოყოფს „გროსბუერების“ („მსხვილ გლეხების“) უმნიშვნელო უმცირესობას. მეორე შემთხვევაში მემამულური მეურნეობა არ არის ან მას ამსხვრევს რევოლუცია, რომელიც კონფისკაციას უშვება და აქუცმაცებს ფეოდალურ მამულებს“, (ლენინი ტ. მე-11, მე-3 გამოც. გვ. 348-9.).

როგორც ნათქვამი იყო, ილია ჭავჭავაძე პოლიტიკაში და მწერლობაში წარმოდგენილი იყო კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის. ლეგენდას იმის შესახებ, თითქოს ილია წინააღმდეგი იყო კაპიტალიზმის განვითარების საერთოდ, საფუძვლად უდევს კაპიტალიზმის განვითარების ისტორიულად ორი შესაძლებელი გზის ლენინური თეორიის უგულებელყოფა ამ საკითხის გადაჭრაში. რაკი ილია კაპიტალიზმის განვითარების პრუსიული გზის შეგნებული წარმომადგენელი იყო, ცხადია ის ვერ შეურიგდებოდა გლეხობის ბრძოლას, მიმართულს ბატონყმობის მოსპობისაკენ. მით უმეტესად ის ვერ მიიღებდა მუშათა კლასის რევოლუციურ მოძრაობას და რევოლუციას. ილია იყო და მოკვდა მათ პრინციპიალურ მოწინააღმდეგედ, რუსეთის იმპერიის თავადაზნაურობის სახელმწიფო საბჭოს წევრად, სადაც ის არჩეული იქნა 1906 წელს, როგორც საქართველოს თავად-აზნაურობის წარმომადგენელი.

ილია კლასთა ბრძოლის შეგნებული მოწინააღმდეგე იყო. მისი გამჭრიახი გონებისათვის შეუძლებელია შეუმჩნეველი დარჩენილიყო ის გარემოება, რომ ქართველები არ წარმოადგენდენ ერთ მთლიან „საზოგადოებას“. მან ეს იცოდა, მაგრამ მიუხედავად ამისა ის გამომდინარე თავისი კლასის პოლიტიკურ ინტერესებიდან, მაინც ამტკიცებდა კლასობრივ განხეთქილებისადმი გვერდის ავლის შესაძლებლობას და ქართველი ერის ერთ მთლიან ოჯახად არსებობის რეალობას ფეოდალურ - კაპიტალისტური ურთიერთობის ბატონობის პირობებში. ეს რეაქციონური იდეა მას ყველაზე უფრო მკაფიოდ გატარებული აქვს თავის ნაწარმოებში — „ოთარაანთ ქვრივი“ (1887 წ.).

მიუხედავად ყოველივე ამისა, ილია ჭავჭავაძე იმდენად დიდი მწერალია, რომ მისი ლიტერატურული მემკვიდრეობის უგულებელყოფა უდიდესი უგნურება იქნებოდა. მიუხედავად ილიას ლიტერატურული შემოქმედების შინაარსის რეაქციონურ ხასიათისა, მასში მაინც არსებობს ის ზემოთნაჩვენები დადებითი მომენტები, რის მეოხებით მისი ლიტერატურული მემკვიდრეობა უდიდეს კულტურულ განძეულობას წარმოადგენს. თანამედროვე მწერალი, რომელიც არ ცდილობს გულდასმით შეისწავლოს ილიას ლიტერატურული მემკვიდრეობა, ის ვერასოდეს ვერ გახდება ჩვენი ეპოქის დიდ მწერლად. ის ფინაჩი უფრო იქნება, ვიდრე მწერალი.

ილია უდიდესი კულტურის მხატვარია, ის სიტყვის უდიდესი ოსტატია. მის მიერ შექმნილი სახეები უძლიერესი და უმდიდრესი მხატვრული ფორმებით არიან მოცემული. ერთხელ თუ წაგიკითხავთ ილიას „კაცია-ადამიანი“, „კაკო-ყაჩაღი“, „გლახის ნაამბობი“ და სხვ., არასოდეს მეხსიერებიდან არ ამოგეშლებათ მათი გმირების სახეები, იმდენად მძლავრი ლიტერატურულ მხატვრულ ფორმებით არიან ისინი მოცემული. ილიას ისეთი პოემები, როგორიცაა **„განდეგილი“** და **„აჩრდილი“**, განსაკუთრებით კი პირველი, მთელ მსოფლიო ლიტერატურაში საპატიო ადგილს იჭერს. ილიას მხატვრული ფორმები, მისი სიტყვის ოსტატობა და ლიტერატურული ხერხები განსაკუთრებულ თემის საგანია. ის ანალიზირებული უნდა იქნას მისი ნაწარმოებების საუკეთესო მხატვრულ ნიმუშების განხილვის მაგალითზე.

მაგრამ ილია ჭავჭავაძის ლიტერატურული მემკვიდრეობა არა მხოლოდ მისი ფორმის მხრივ არის საინტერესო, არამედ შინაარსითაც, მიუხედავად მისი რეაქციონური ხასიათისა. ილია არ იყო რომანტიკოსი. ის რეალისტი იყო, ზემონაჩვენები გარკვეული კლასობრივი ტენდენციით, როგორც ასეთი, ის ცხოვრების სინამდვილის უდიდესი მცოდნე იყო. ამიტომ მისი ნაწარმოებები შინაარსის მხრივაც უდიდეს წყაროს წარმოადგენენ იმდროინდელ ეპოქის გაცნობისა და შესწავლისათვის. ფეოდალური კლასის საზოგადოებრივი სინამდვილის აღწერასთან ერთად, ის გლეხობის მდგომარეობასაც გვიხატავს. უკანასკნელი განსაკუთრებული ღრმა შინაარსით და მაღალი მხატვრული ფორმითაა მოცემული ილიას ლიტერატურის მოღვაწეობის პირველი პერიოდის ნაწარმოებებში. ეს აიხსნება იმ მიზეზით, რომ როგორც აღვნიშნეთ ამ პერიოდში ილია „ოპოზიციონურად“ იყო განწყობილი, ის იბრძოდა ბატონყმობის იმდროინდელ, უგუნურ ფორმების წინააღმდეგ, იმათი უფრო კულტურული, მოწინავე და „ჰუმანიური“ ფორმებით შეცვლისათვის. იმ მიზნით, რომ მთელი სიძლიერით ეჩვენებია ბატონყმობის ამ ფორმის უვარგისობა, მან თავის ნაწარმოებებში დასახა არა მხოლოდ დეგრადაციის გზაზე დამდგარი ფეოდალების საზოგადოებრივი სინამდვილე, არამედ ფეოდალიზმის ერთერთი ძირითადი საწარმოვო ძალის ყმების, იმდროინდელ გლეხობის საზოგადოებრივი ცხოვრებაც. მან მკვეთრი მხატვრულ ფორმებში დაასურათა ყმების, გლეხობის, —სიმდიდრის ამ შემქნელი ძალის —გადაგვარება („კაცია-ადამიანი“). ასეთივე ღრმა შინაარსის და მაღალმხატვრული ფორმებით მოგვცა იმისი სურათი, თუ ბატონყმური წესწყობილების მიუღებელი ფორმების არსებობის ზეგავლენით, როგორ იძულებული ხდებიან ყმები იარაღს ხელი მოჰკიდონ, ყაჩაღათ გავიდენ და შემდეგ ბატონებს გაუსწორდენ („კაკო ყაჩაღი“). ამიტომ ილიას ასეთი ნაწარმოებები მასობრივად უნდა იცემოდეს და ისწავლებოდეს შრომის სკოლებში, მუშავდებოდეს თანამედროვე მწერლების მიერ, კრიტიკულად უნდა ირჩეოდეს, ითარგმნებოდეს სხვადასხვა ენაზე და ა. შ.

ასე უდგება მარქსიზმ - ლენინიზმი და საბჭოთა მხატვრული ლიტერატურის მეცნიერული მეთოდი, სოციალისტური რეალიზმი, ლიტერატურული მემკვიდრეობის შესწავლის საკითხს.

„მკერავთა გაერთიანება“ უნდა გახდეს სამაგალითო

საქ. სარეწაო კოოპერაციის სისტემაში შემავალ სარეწაო კოოპერატიული არტელი „მკერავთა გაერთიანებისათვის“ (თავ-რე **ნ. იტრიევი**), პირველ და მეორე კვარტალში გეგმით სარეწაო კოოპერაციას უნდა მიეწოდებია 74,759 მან. წევრეული, ფაქტიურად მიაწოდა, მხოლოდ 21.408 მანეთის (გეგმის 28,3 პროც.) მაგრამ მიუხედავად ამისა არტელ „მკერავთა გაერთიანებამ“ პირველი კვარტალის საწარმოო გეგმა გადაჭარბებით შეასრულა.

გეგმით გათვალისწინებული 485,700 მანეთის პროდუქციის ნაცვლად გამოუშვა 501.978 მანეთის (გეგმა შესრულებულია 103,3 პროც.).

მეორე კვარტალში არტელი ამ მიღწევებით არ დაკმაყოფილდა და ნაცვლად 467.800 მან. პროდუქციისა გამოუშვა 503.869 მანეთის. (გეგმა შესრულებულია 107,7 პროც.)

არტელმა საწარმოო - საფინანსო გეგმის გადაჭარბებით შესრულება შესძლო გამგეობის ყოველდღიური პრაქტიკული ხელმძღვანელობის გაძლიერებით, ხოლო მეორე მხრით იმ გარემოებით, რომ საამქროთა გამგეებად არიან საუკეთესო კვალიფიციური ოსტატები, მაგალითად **კახიანი კ.** არტელში 8 წელია მუშაობს, **ტერვართანოვი** 4 წელი და სხვ.

გადამწყვეტი ბრძოლა წარმოებს პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისთვის. გამოშვებული წუნიანი პროდუქცია პირველ კვარტალში 1 პროცენტამდე აღწევდა, ხოლო მეორე კვარტალში ის მთლიანად აღმოიფხვრა. **არტელი კარგი ხარისხის პროდუქციის გამოშვებისათვის დაჯილდოვებული იქნა შეკერილი ტანსაცმელების საკავშირო გამოფენაზე.**

არტელი აერთიანებს 250 მუშა მოსამსახურეს, რომლებიც დამკვრელობაში 100 პროცენტით არიან ჩაბმული.

ზემოხსენებულ მიღწევებთან ერთად არტელს თავის მუშაობაში ნაკლიც აქვს.

მიუხედავად იმისა, რომ გამგეობას 1934 წლის კულტფონდისათვის გამოყოფილი აქვს 5000 მანეთი, ეს თანხა არ არის გამოყენებული დანიშნულებისამებრ. კულტმომუშავე **სანიკიძემ** არცკი იცოდა, თუ არსებობდა ასეთი ფონდი.

არ ექცევა სათანადო ყურადღება მუშათა მომარაგებას. მუშების ნაწილს არა აქვს პურის ტალონები. საერთოდ არ აქვთ დახურული კოოპერატივი და სასადილო. ეს იმდროს როდესაც არტელის გამგეობას მოეპოვება სასადილოსათვის სათანადო ინვენტარი. მუშათა მომარაგების ასეთი უყურადღებობა იწვევს მომუშავეთა კანონიერ უკმაყოფილებას და კვალიფიციური კადრების დენადობას.

ა. ს.

ქუთაისის უნივერსალური მაღაზია მომხმარებლებს აწვდის საუკეთესო ასორ[illegible] შეკერილ საქონელს.

26 მუშა სწავლობს საავიაციო საქმეს ტფილისის აეროკლუბთან მოწყობილ საავიაციო სკოლაში. სკოლის მსმენელთა უმრავლესობა ტფილისის ფაბრიკა-ქარხნების (მაუდ-კამვოლის ფაბრიკა, 26 კომუნ. სახ. ქარხანა, კალინინის სახ. ქარხანა, და სხვ.) დამკვრელი კომკავშირელი მუშები არიან. სწავლა კვირაში ორჯერაა —გამოსასვლელი დღის წინა საღამოს და გამოსასვლელ დღეს.

სკოლაში მიღებულები სწავლობენ საავიაციო საქმეს წარმოებიდან მოუწყვეტლივ. მსმენელთა პირველმა ჯგუფმა სწავლა დაიწყო თებერვალში. თეორიული მეცადინეობას მსმენელები ამთავრებენ 25 აგვისტოსათვის, ხოლო შემდეგ ისინი გამოშვებული იქნებიან თვითმფრინავებით დამოუკიდებელი სასწავლო ფრენისათვის.

სურათზე: მომავალი პილოტებისა და ბორტმექანიკოსების ჯგუფი.

საქ. ცაკის და საქ. სახკომსაბჭოს დადგენილება

ავიაციის დღის — 1934 წლის აგვისტოს 18-სა და სამოქალაქო საჰაერო ფლოტისათვის ხელისშემწყობის ერთთვიურის ჩატარების შესახებ

აღნიშნავენ რა მთელ რიგ მიღწევებს საქართველოს სსრ ჰაეროფიკაციის საქმეში (ტფილის-ქუთაის-სოხუმის ხაზის ექსპლოატაციის დაწყება) მშრომელთა ფართო მასების აქტიური მონაწილეობით, სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო, სამოქალაქო საჰაერო ფლოტის იდეებისა და ამოცანების შემდგომი პოპულარიზაციისა და სამოქალაქო ავიაციის მატერიალური ბაზისის გაძლიერების მიზნით ადგენენ:

1. სსრ კავშირის ავიაციის დღის—1934 წ. აგვისტოს 18-ის აღსანიშნავად ჩატარებულ იქნეს საქართველოს სსრ მთელს ტერიტორიაზე:

ა) ზეიმი ტფილისისა, ქუთაისისა და სოხუმის ჰაეროპორტებზე (საჰაერო აღლუმი, მიტინგები, ჰაეროპორტებზე შეფობის მიღება და სხვა მისთ.).

ბ) საჰაერო ხაზების გახსნა;

გ) საავიტაციო ფრენა სამოქალაქო საჰაერო ფლოტის იდეებისა და ამოცანების პოპულარიზაციის მიზნით;

დ) მოხსენებებისა, ლექციებისა და კონცერტების მოწყობა კლუბებსა, საწარმოებსა და დაწესებულებებში.

2. ნება დაერთოს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტს ჩაატაროს, სათანადო საზოგადოებრივი ორგანიზაციების მონაწილეობით, ერთ თვიური სახსარის ნებაყოფლობითი შესაკრებად საქართველოს სსრ-ში სამოქალაქო ავიაციის გაძლიერებისათვის (საჰაერო ხაზების მშენებლობა და გაწყობა, ჰაეროდრომების, ჰაეროკლუბებისა და საპლანერო სადგურების მშენებლობა, სახელობითი თვითმფრინავების შეძენა).

3. ხელმძღვანელობისა და კონტროლის გაწევა ერთთვიურის წესით სახსარის შეკრეფისა და შეგროვილი სახსარის მიზნობრივი დანიშნულებისამებრ ხარჯვისათვის დაეკისროს საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოსთან არსებულ სამოქალაქო საჰაერო ფლოტის დამხმარე კომიტეტს.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავ-რე **გ. მგალობლიშვილი.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივნის მაგიერ **ვ. ვაშაკიძე.**

1934 წ. აგვისტოს 15.

ტფილისი.

ტ.ა.ს.ს.-ის მიღება მთავრდება

იწყება მისი ამუშავება

ტ. ა. ს. ს.-ის მშენებლობის სამმართველოში მიღებული ცნობებით, დღეს დამთავრდება ავტომატური სატელეფონო სადგურის ყველა ნაგებობებისა, აპარატებისა და ხაზების მიღება. საკავშირო მთავრობის კომისია უკვე ორ კვირაზე მეტია მუშაობს ამ ნაგებობათა მისაღებად.

დღეს კომისია გააფორმებს სადგურის მიღების აქტს, რის შემდეგაც შესაძლებელი იქნება შევუდგეთ უბნების მიხედვით ძველი სატელეფონო ქსელის ავტომატურ ქსელში გადართვას.



უახლოეს ორ დღეში ამუშავდება ტფილისის ავტომატური სატელეფონო სადგური.

სურათზე: ტ. ა.ს. ს.-ის საკონტროლო კუთხე, სადაც სპეციალური საკონტროლო აპარატები ავტომატურად უჩვენებენ ხაზების ტექნიკურ მდგომარეობას.

წყალდიდობა სოხუმში

სოხუმი, 16 აგვისტო. 11 აგვისტოს აფხაზეთში დაიწყო წვიმები, რომელიც 12 აგვისტოს ძალზე გაძლიერდა და იმავე ღამით გადაიქცა არაჩვეულებრივი ძალის ტროპიკულ ნიაღვრად. ნიაღვარმა მოიცვა 30—40 კილომეტრი ტერიტორია. მისი ცენტრი გადაიქცა სოხუმი. ნიაღვრის შედეგად ადიდდა მდინარეები და გადმოვიდა ნაპირებიდან. წყალდიდობა სწრაფად გავრცელდა სოხუმის მთელ ტერიტორიაზე. წყლის საშუალო სიღრმე ქუჩებში უდრიდა ერთნახევარ მეტრს. მდინარე კოდორის სიმაღლემ მოიმატა ორნახევარი მეტრი.

წყალდიდობის შედეგად საგრძნობლად დაზარალდა სოხუმის აგურის ქარხანა, სოხუმის ჰიდროელსადგურის მშენებლობა, წაღებულია აღმოსავლეთ გუმისტის ახალი ხიდი. დაზიანებულია გზები. წყალდიდობამ დიდი ზიანი მიაყენა სოხუმს, მთელი რიგი საცხოვრებელი სახლები დაფარული იყო წყლით. დაინგრა მთელი რიგი ხის ნაგებობანი. არის ადამიანთა მსხვერპლი. სოხუმის სამრეწველო საწარმოებიდან ძალზე დაზარალდენ სტალინის სახელობის თამბაქოს ფაბრიკა, საკონდიტრო ფაბრიკა და მომარაგების კომისარიატის საკონსერვო ქარხანა.

გადამრჩენი და აღდგენითი სამუშაოები ძირითად უბნებზე წარმოებს საოლქო კომიტეტის მდივნის ამხ. **ლადარიას** უშუალო ხელმძღვანელობით

მთავრობის საგანგებო კომისიამ სწრაფად და ენერგიულად გააჩაღა მუშაობა ნიაღვრის შედეგების ლიკვიდაციისათვის (ადს).

მარგანეცი

14 აგვისტო

სასაქონლო პროდუქციის გამომუშავება (ტონობით)

გეგმა	ფაქტიური	%
3.330	3.056	91,8

ვაგონების მიწოდება

[illegible]	მიაწოდეს	დაიტვირთა
192	172	172

ხვალ ავიაციის დღესასწაულია

ხვალინდელი დღე, 18 აგვისტო, საბჭოთა ავიაციის მიღწევათა და გამარჯვებათა საზეიმო დღეა. ეს ზეიმი ჩატარებული იქნება მეორედ მთელ საბჭოთა კავშირში.

საბჭოთა ავიაციის დღესასწაულის წესრიგის გამოსამუშავებლად, გუშინ საღამოს ა.-კ. სახკომსაბჭოსთან ამხ. **მუსაბეკოვის** თავმჯდომარეობით შესდგა თათბირი, რომელზედაც მიღებულ იქნა საავიაციო ზეიმის ჩატარების შემდეგი პროგრამა:

ტფილისის მშრომელები საბჭოთა ავიაციის ზეიმს ატარებენ ტფილისის აეროპორტზე. მშრომელთა შეკრება აეროპორტზე დაიწყება დილის 7 საათიდან და უნდა დამთავრდეს დილის 10 საათისათვის, როდესაც გაიმართება თვითმფრინავების აღლუმი მიწაზე. აღლუმს მიიღებენ ამიერ - კავკასიის და საქართველოს მთავრობების წევრები. ამის შემდეგ გაიხსნება საზეიმო მიტინგი, რომელიც გასტანს 20 წუთს.

დილის 10 საათსა და 30 წუთზე დაიწყება საჰაერო აღლუმი, რომელიც 1 საათს გასტანს. აღლუმის შემდეგ ჰაერში გაშვებული თვითმფრინავები დაეშვებიან ძირს, ხოლო ცოტა ხნის შემდეგ ჰაერში კვლავ იქნება გაშვებული ათამდე თვითმფრინავი პარაშუტისტებით დილის 11 ს. და 40 წუთზე გაიმართება პარაშუტისტების მასობრივად გადმოხტომა.

შუადღის 12 საათზე მოეწყობა თვითმფრინავების ფიგურული ფრენა და უმაღლეს პილოტაჟის მიღწევათა დემონსტრაცია, რომლის შემდეგ შესდგება რამოდენიმე პარაშუტისტის დაყოვნებითი გადმოხტომა.

„საჰაერო ნათლობა“

ავიაციის მიღწევათა დემონსტრაციის შემდეგ დაიწყება აეროპორტზე მოსულ ფაბრიკა - ქარხნების საუკეთესო დამკვრელ მუშათა „საჰაერო ნათლობა“. გამოყოფილი იქნება ორი დიდი სამგზავრო და ოთხი მსუბუქი თვითმფრინავი მუშების გასასეირნებლად ჰაერში.

პარალელურად, მოეწყობა პლანერებით ფრენა და თვითმფრინავთა მოდელების დემონსტრაცია.

ამავე დროს მოეწყობა მასობრივი ფიზკულტურული ვარჯიშობანი —ფეხბურთი, კალათბურთი, ტანვარჯიში და სხვ.

საღამოთი ტფილისის მუშათა კლუბებში გაიმართება საავიაციო დღესასწაულისათვის მიძღვნილი საღამოები. წმინდა შემოსავალს კლუბები გადასცემენ სამოქალაქო ავიაციის თვითმფრინავთა ასაგებად.

დამსწრეთა მომსახურება

აეროპორტზე თავმოყრილ მშრომელთა მასებისათვის მომსახურების გასაწევად დავალება მიეცა —„ტფილსოფმრეწვს“, ტ. ს. ო. კ-ს (ტფილისის სამომხმარებლო ორგანიზ. კავშირი), საქკვებვაჭრობას და ბორჯომიწყლის სამმართველოს გახსნას აეროპორტის ტერიტორიაზე ფარდულები მშრალი საჭმელებით და გრილი წყლით ვაჭრობისათვის. აღნიშნულ ორგანიზაციებმა დღესასწაულზე დამსწრენი უნდა უზრუნველყონ იაფი სასმელ - საჭმელით.

გარდა ამისა მთელ რიგ საწარმოებს დავალებული აქვთ გაგზავნონ აეროპორტზე კასრებით წყალი. საქ. წითელი ჯვრის საზოგადოებას და ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას დავალებული აქვთ გახსნან ორი დროებითი საექიმო პუნქტი.

ზეიმში მონაწილეობას მიიღებს 7 სასულე ორკესტრი.

აეროპორტის მთელი ტერიტორია რადიოფიცირებული იქნება. სახკინმრეწვს დავალებული აქვს ზეიმის გადაღება კინოქრონიკისათვის.

ტრანსპორტით მომსახურება

18 აგვისტოს დილით დაიწყება მშრომელთა მასების გადაყვანა ტფილისიდან აეროპორტის ტერიტორიამდე. სამამისოდ ამ დღისათვის გამოყოფილია ორი სპეციალური მატარებელი. მატარებლების ხალხით დატვირთვა იწარმოებს ორგანიზებულად.

პირველი სპეციალური მატარებელი გადის სად. ტფილისიდან (ყარსის ბაქანი) დილის სრულ 7 საათზე (ადგილობრივი დროით). მიდის აეროპორტზე დილის 8 ს. და 25 წუთზე.

მეორე სპეციალური მატარებელი გადის დილის სრულ 8 ს. და 30 წუთზე იქიდანვე. მიდის დანიშნულების ადგილზე 9 საათსა და 55 წუთზე. მატარებლები შეჩერდებიან სად. ნავთლუღში. მატარებლების სამგზავრო ბილეთები წინასწარ დაურიგდება ორგანიზებულად ადრევე გამოცხადებულ ჯგუფებს.

აეროპორტიდან პირველი მატარებელი გამოდის უკან ქალაქისაკენ ნაშუადღევის 2 საათსა და 35 წუთზე. მეორე კი გამოდის 3 საათსა და 30 წუთზე.

სად. ნავთლუღიდან აეროპორტამდე იმუშავებს 4 დიდი ავტობუსი. ისინი, ვინც მატარებლებს ჩამორჩება, გადაყვანილი იქნებიან ავტობუსებით. კახეთის მოედნიდან ნავთლუღამდე (ავტობუსების სადგურამდე) ხაზზე გაშვებული იქნება ფართო ლიანდაგიან ვაგონების ახალი პარტია.

გარდა ამისა ყველა წარმოება-დაწესებულებას დავალება აქვს მიცემული, რომ საკუთარი ავტოტრანსპორტი გამოიყენონ მათი დაწესებულებების მუშა-მოსამსახურეთა გადასაყვანად.

სურათზე: მარცხნივ — სანიტარი ქალი მორიგეობს თვითმფრინავების სასტარტო მოედანზე. **მარჯვნივ** — სამგზავრო კაბინა ტფილის-ქუთაისის ხაზზე მომძრავ სამგზავრო თვითმფრინავში. **შუაში** — საფოსტო თვითმფრინავი, რომელიც დაფრინავს კავკასიონის ქედზე ტფილის-მინერალნიე ვოდის შორის.

ხელოვნება

დ. გოლოვინის გასტროლები

„საქართველოს ფილარმონიამ“ ათი კონცერტისათვის მოიწვია გამოჩენილი მომღერალი, მოსკოვის დიდი საოპერო თეატრის მსახიობი **დიმიტრი გოლოვინი.** მისი ორი კონცერტი უკვე გაიმართა წითელი არმიის ბაღში 14 და 15 აგვისტოს. დანარჩენი კონცერტები მოეწყობა ბათომში, ქუთაისში, ბორჯომში და აბასთუმანში.

დ. გოლოვინი შესანიშნავი ხმის (ბარიტონი) პატრონი მომღერალია. მისი ხმოვანი მასალა სრულიად განსაკუთრებული ხასიათისაა: გოლოვინი თავისუფლად მღერის როგორც ბარიტონიც, ბანიც და ტენორიც კი (მაღალ ფარდებში). ამას ემატება უაღრესად განვითარებული ვოკალური ტექნიკა, რაც დ. გოლოვინს პირველხარისხოვან მომღერლად ხდის. ამდენად მისი მოწვევა ტფილისში აქტივში ჩაეთვლება „საქართველოს ფილარმონიას“, რომელიც ამით საშუალებას აძლევს ჩვენს ახალგაზრდა მომღერლებს ვოკალური ტექნიკის საუკეთესო ნიმუშების გაცნობით გააუმჯობესონ თავისი ხელოვნება.

პირველი კონცერტის პროგრამა მიძღვნილი იყო უმთავრესად რუს კლასიკოსებისადმი. შესანიშნავად შეასრულა მომღერალმა მაზეპას არია ჩაიკოვსკის ამავე სახელწოდების ოპერიდან, რახმანინოვის რომანსი პუშკინის სიტყვებზე „ნუ მღერი ჩემთან ლამაზო“, მუსორგსკის „ბილინჯო“ და ფიგაროს კავატინა „სევილიელი დალაქიდან“, რომელშიაც მან გამომჟღავნა თავისი ხმის არაჩვეულებრივი მოქნილობა.

დ. გოლოვინი მღერის ძალდაუტანებლად, ის ადვილად იპყრობს ვოკალური ხელოვნების ყველა მწვერვალს, მაგრამ ამავე დროს არის ერთი გარემოება, რომელიც დაღს ასვამს მის შესრულებას. დ. გოლოვინი ჩქარა იღლება და ერთნაირი ხარისხით ვერ ასრულებს ყველა ნომერს, ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოა ოპერებში, ეს ჩანდა 14 აგვისტოს კონცერტზეც. მიუხედავად ამისა, დ. გოლოვინი საბჭოთა ვოკალური ხელოვნების ერთერთ უნიჭიერეს ოსტატად რჩება და ეს შემჩნეული, ადვილად გამოსასწორებელი ნაკლი ვერ ავნებს მის მაღალ ოსტატობას.

კონცერტის დანარჩენ მონაწილეებიდან აღსანიშნავია მომღერალი ქალი ტიდემანი, რომელმაც ლამაზად შეასრულა არიები ოპერეტებიდან და მოზგოვაის და ტარეხოვსკის აკრობული ცეკვა.

ა.

ლენინგრადის პიონერთა დელეგაცია ტფილისში

ტფილისში ჩამოვიდა ლენინგრადის პიონერთა დელეგაცია, სწავლის საუკეთესო დამკვრელები, დაჯილდოებულნი საბჭოთა კავშირის კავშირგაბმულობის სახალხო კომისრის ამხ. რიკოვის მიერ საბჭოთა კავშირში მოგზაურობით იმ რეალური დახმარებისათვის, რომელიც მათ აღმოუჩინეს სოციალისტურ კავშირგაბმულობას. ლენინგრადის პიონერები თავიანთ გამოცდილებას გადასცემენ ტფილისის პიონერებს.

სურათზე: ლენინგრადის პიონერები საუბრობენ ტფილისის პიონერებთან ბავშვთა კულტურისა და დასვენების პარკში.

ფიზკულტურა და სპორტი

ოდესა—ტფილისი

15 აგვისტოს „დინამოს“ სტადიონზე გაიმართა უკანასკნელი შეხვედრა ოდესის ფეხბურთელებთან. ტფილისის მხრიდან თამაშობდა **„დინამო-პირველი“.**

თამაშის დაწყებისთანავე ინიციატივა ხელთ იგდეს ტფილისელებმა, რომლებიც ლამაზ კომბინაციებს აწვითარებენ და ხშირად აყენებენ სტუმრების კარებს სახიფათო მდგომარეობაში. შუა ტაიმში ოდესელები დაჯარიმდენ. **მ. ასლამაზოვი** მძლავრად ურტყამს 20 მეტრიდან და ბურთი ოდესის ბადეშია მოქცეული.

პირველმა წარმატებამ ტფილისის გუნდი წაახალისა, ხოლო სტუმრებში ერთგვარი არევდარევა შეიტანა. ტაიმის ბოლოს ტფილისის მარჯვენა გარე-მარბი ბარანოვი გაიტაცებს ბურთს, ჰიშკართან გადასცემს პანინს, ეს უკანასკნელი სწრაფი მოხდენილი დარტყმით ბადეში გზავნის მას. თამაშის პირველი განყოფილება თავდება 2:0 ტფილისის გუნდის სასარგებლოდ.

მეორე ტაიმში სტუმრებმა ძალთა გადაჯგუფება მოახდინეს. ამან ნაყოფი გამოიღო და ერთხანს მდგომარეობის ბატონი ისინი შეიქნენ. მე-15 წუთზე ოდესის მარჯვენა ინსაიდი ლამაზი კუთხური დარტყმით აქვითებს ერთ ბურთს. მაყურებლები მქუხარე ტაშით ხვდებიან სტუმრების წარმატებას.

მაგრამ ოდესელებმა დიდხანს ვერ შეინარჩუნეს ინიციატივა. ტაიმის მეორე ნახევარი უკვე ტფილისის გუნდის უპირატესობის ნიშნით მიმდინარეობს. მე-30 წუთზე ოდესის კარებში მესამე ბურთი გაივლის. მალე სტუმრებმა შეძლეს კიდევ ერთი ბურთის გაქვითება „პენალტი“-დან, რასაც რამდენიმე წუთის შემდეგ ტფილისმა მეოთხე ბურთით უპასუხა.

გუნდების შემდგომ ბრძოლას შედეგი აღარ მოყოლია და შეხვედრა დამთავრდა ტფილისის გამარჯვებით 4 : 2.

„დინამოს“ მხრიდან თამაშობდენ: ა. პაპკიევი, შ. შავგულიძე, ა. ფოჩხუა, ბელოვი, ა. ბაშიძე, მირზოიანი, ბარანოვი, მალალაშვილი, პანინი, ასლამაზოვი, უდანოვი.

სურათზე: ოდესის პროფკავშირების ფეხბურთელთა ნაკრები გუნდი.

მუშათა კლუბებსა და ბაღებში

ტრამვაის კლუბში — საქ. ფილარმონიის კონცერტი; ბაღში—სასულე ორკესტრი.

პლეხანოვის სახ. მუშათა კლუბში — ფიზკულტურის საღამო: ფეხბურთი, ფრენბურთი, ჭიდაობა. ბაღში კინო-ლექცია და მასობრივი ცეკვა თამაში.

ორჯონიკიძის სახ. ბაღში — კონცერტი ადგილობრივი საესტრადო ძალებით.

ვოროშილოვის სახ. საზაფხულო ბაღში —აღმოსავლური კონცერტი: სიმღერები, ცეკვა, თარი და სხვა.

ძერჟინსკის სახ. ბაღში (ყოფ. „სტელა“) —ოპერეტა „როზმარი“ ვ. ლეგოვის, ვ. ტოკარსკაიას და გ. ნოვიცკის მონაწილეობით.

ქრონიკა

ჟურნალი „დროშა“ № 13.

გამოვიდა და იყიდება ჟურ. „დროშა“-ს მორიგი ნომერი (13) შემდეგი შინაარსით: **კ. ჯავრიშვილი**—ფირდოუსი, **ა. ადამია**—გადარჩენილი ჯარისკაცი (ლექსი), **ს. დოლიძე**—ნ. ბარათაშვილის შესახებ, **ლ. მარუაშვილი** — სამეცნიერო დაწესებულება მყინვარწვერზე. **დ. ახვლედიანი**—სოფლად (ლექსი). **ა. ხულავა**—ა. გიდაშის პოეზია, **ა. გიდაში**—სამშობლო ჩემო უნგრეთო (ლექსი), **ხ. ხიდისთაველი**—მუშა სიმონა, **რ. კანდელაკი**—ოლიმპიადა. **მეცნიერება და ტექნიკა.** ჟურნალში მოთავსებულია სურათები და ილუსტრაციები.

ამხ. ტ. აბრამიას ხსოვნას

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიონულმა ორგანიზაციამ მოულოდნელად დაჰკარგა ძველი ბოლშევიკი, ლენინიზმისათვის დაუღალავი მებრძოლი რაი-აღმასკომის თავმჯდომარე ამხ. **ტარიელ აბრამია.**

ამხ. ტარიელი დაიბადა 1891 წელს ღარიბ გლეხის ოჯახში. 1913 წ. ის გაიწვიეს ჯარში. ორი წლის შემდეგ მას უსწრებს მსოფლიო ომი კიევში. მონაწილეობდა დასავლეთის, სარაყამის, ახალციხის, ყარსის, არდაგანისა და ართვინის ფრონტებზე.

1917 წ. თებერვლის რევოლუციამ ტარიელს მოუსწრო ტრაპიზონში, იმ ხანებში ის უკვე ჯარში მომუშავე არალეგალური ორგანიზაციის წევრი იყო. აქტიური მონაწილეობა მიიღო ჯარში მომხდარ რევოლუციურ გამოსვლებსა და ჯარის კაცთა აღმასრულებელ კომიტეტის ჩამოყალიბებაში.

კავკასიის ფრონტის დაშლის შემდეგ ის ბრუნდება სოფ. ხორგაში, მაშინ რაიონში დაქსაქსული იყო ორგანიზ. წევრები ამხ. ტარიელი სხვებთან ერთად ახერხებს ორგანიზაციის მტკიცე საფუძვლის ჩაყრას, თავს უყრის ძალებს რაიონის მაშტაბით. კავშირს აბამს სხვა რაიონებში მომუშავე ამხანაგებთან და ემზადება შეტაკებისათვის.

ამხ. ტარიელი ერთ-ერთი აქტიური ხელმძღვანელი და ორგანიზატორი იყო ხობის რაიონში ბოლშევიკური ორგანიზაციისა.

ამხ. ტარიელს სასტიკად ებრძოდნენ მენშევიკები, ის უკან არ იხევდა, ერთი ორად აძლიერებდა მუშაობას, თავს უყრიდა შეიარაღებულ ძალებს. 1918 წელს ის სათავეში უდგება ხობის რაიონის პარტიზანულ რაზმს: იბრძვის ხობში, ნარაზენში, ბაშში, ყულევსა და ხორგაში. მენშევიკურმა ხელისუფლებამ შური იძია მასზე და როცა ჟუღელის დამსჯელი რაზმი ზარბაზნებითა და ტყვიამფრქვევებით ჩამოვიდა სამეგრელოს ბოლშევიკური მოძრაობის ჩასაქრობად, ტარიელის სახლკარი ცეცხლს მისცა. თვითონ ტარიელი გადადის არალეგალურ მდგომარეობაში, ის არ ჰკარგავს გამარჯვების იმედს. ის ისევ პარტიულ მუშაობას ეწევა.

ასე დაუცხრომელი ბრძოლით გაატარა მან არალეგალური მუშაობის წლები. საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებიდან 1921-24 წლამდე იყო ხორგის აღმასკომის თავ-რეთ, 1924-29 წ. გადაყვანილი იქნა ნოჯიხევის აღმასკომის თავ-რედ, 1920 წ. მას ნიშნავენ ხობის რაიაღმასკომის მიწგანის გამგეთ, 1931 წელს მემინდვრეობის რაი-კავშირის თავ-რედ, 1931-32 წ. რაი-მილიციის უფროსად. ამის შემდეგ ის ინიშნება რაი-აღმასკომის თავმჯდომარედ, სადაც ის მუშაობდა დღემდე.

ამხ. ტარიელი იყო დაუღალავი მტკიცე და ნაცადი ბოლშევიკი. ის უდიდესი ენტუზიაზმით ასრულებდა პარტიისა და ხელისუფლების ყოველგვარ დავალებას. ამხ. ტარიელი იყო იშვიათი ადამიანი, ამით დაიმსახურა მან უდიდესი სიყვარული და ავტორიტეტი ხობის რაიონის კოლმეურნე და ერთპიროვნულ მშრომელ გლეხობაში. უკანასკნელ დღემდე ის არ მოშორებია თავის საქმეს და ლენინიზმის პრაქტიკულად განხორციელების სადარაჯოზე იდგა, როგორც ბოლშევიკური ძველი გვარდიის უერთგულესი ჯარისკაცი.

დღეს უკვე აღარა გვყავს ის შეუპოვარი რევოლუციონერი, ის გამოაკლდა ხობის რაიონული ორგანიზაციის რიგებს, მაგრამ მისი ხსოვნა, მისი სამაგალითო ბოლშევიკური სიმტკიცე და პარტიისადმი ერთგულება მუდამ დაუვიწყარი იქნება მისი თანამებრძოლ ამხანაგების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი: აჯ. შონია, ი. ბუბუტეიშვილი, გრ. აბრამია, ნ. ფარცხვანია, ი. აბრამია, პ. მირცხულავა.

დადგენილება

საქართველოს პროფკავშირთა საბჭოსი

1934 წ. აგვისტოს 15.

საქალაქო ველო-შეჯიბრზე მონაწილეთა სამუშაოდან განთავისუფლების შესახებ

განთავისუფლებულ იქნენ სამუშაოდან ის მუშა-მოსამსახურენი, რომელნიც ა.-წ. 16 და 17 აგვისტოს მიიღებენ მონაწილეობას საქალაქო ველო-შეჯიბრზე ამ ხნის განმავლობაში მათთვის ადგილისა და საშუალო ხელფასის შენარჩუნებით.

სპკს პ.-მგ. მდივანი ნადირაშვილი.

შრომის დაცვის განყოფილების გამგე მკირტიჩიანი.

ოქტომბერი 7, 9, 11.	ხმოვანი ფილმი უკანასკნელი 3 დღე **„ჩელუსკინი“**
დამკვრელი საზაფხ. 6-30, 8, 9-30, 11.	მხატვრული კომედია **ნამდვილი კავკასიელი**
დამკვრელი საზამთ. 8-45, 10, 11-15. ფოიეში ჯაზი	
ეთერი საზაფხ. 9, 11	საზღვარგარეთული კომედია **სისწრაფე და შეტევა** მთ. როლში გაროლდ ლოიდი
ტემპი (საზაფხ.) 9. 11.	ახალი ფილმი **ა ნ უ შ ი** ოვანეს თუმანიანის მოთხრობით
„26“-ის სახელ. სეანს. 9 11.	სომხეთკინოს ნაწარმოები **ბ ი ქ ო რ ი**
რ. ლიუქსემბურგის სახელობის სეანს. 7 9 11	საქკინმრეწვის ნაწარმოები **ბოშური სისხლი**
„კომინტერნი“ საზაფ. (დიდუბე) 9. 11.	საზღვარგარეთული ფილმი **მეკრივე—პატაშონი**

18 აგვისტოს სახკინმრეწვი

კინო-თეატრ „ოქტომბერ“-ში აწყობს

დღის სეანსებს

ეკრანზე გმირული, ხმოვანი ფილმი

„ჩელუსკინი“

სეანსები 12, 2 საათზე

ტ. ს. ტ. ქ-ის ტფ. კოოპერატიული მოწაფეების სკოლა ამით აცხადებს რომ

1934-35 სასწავლო წლისათვის იწარმოებს მოწაფეთა მიღება სკოლა ამზადებს დახლის მუშაკებს.

სკოლაში მიიღებიან 15-დან 19 წლ. მდე. სწავლების ხანგრძლივობა 6 თვე. უპირატესობა ეძლევათ ქალებს და დახლის მუშაკთა შვილებს. მოწაფეები განაწილებული იქნებიან მაღაზიებში საწარმოო პრაქტიკაზე და ხელფასის სახით მიიღებენ ჯილდოს 45-დან 50 მანეთამდე უზრუნველყოფილი იქნებიან დახურულ განძანაწილებლით. განცხადებასთან ერთად საჭიროა წარმოდგენა შემდეგი მოწმობების:

1) შვიდწლედის დამთავრების, 2 სოციალური მდგომარეობისა და წარმოშობის, 3) დაბადების, 4) ხმის უფლებისა და 5) ჯანმრთელობის. განცხადებების მიღება წარმოებს ყოველდღე, 15 აგვისტოდან 1 სექტემბრამდე (პრესის ქ. № 12) საღამოს 6-დან

სკოლის ადმინისტრაცია.

საქ. მსუბ. მრეწველობის სახკომისარიატი აცხადებს, რომ თანახმად ზემდგომ სადირექტივო ორგანოების დადგენილებისა,

მოხდა ამხ. ჯაფარიძის სახ. (ნდ ტექნიკუმის (საფეიქრო და აბრეშუმის) რეორგანიზაცია (მდებარე ბელგიის ქ. № 4). მისი ა) **საფეიქრო განყოფილება** გადატანილი იქნება ცალკე საფეიქრო ტექნიკუმათ საფეიქრო ასწ. კომბინატის შენობაში დიდუბე მაუდის ფაბრიკის ახლოს.

ბ) **აბრეშუმის განყ-ბა** გადატანილი იქნა ქ. ქუთაისში და შეუერთდა ქუთაისის აბრეშუმის ტექნიკუმს. ტექნიკუმის მოწაფეები აბრეშუმის დარგის მე-2, 3, 4 კურსისა ცხადდებიან 1-ლ სექტემბერს ქუთაისის აბრეშუმის ტექნიკუმში. საფეიქრო დარგის 2, 3 4 კურსის საფეიქრო ტექნიკუმში (დიდუბე).

ტექნიკუმის 1-ლი კურსი ცხადდება საფეიქრო ტექნიკუმში და სპეციალობის არჩევის შემდეგ ნაწილდებიან ორივე ტექნიკუმში. ყოველგვარ საკითხებზე ტექნიკუმის რეორგანიზაციასთან დაკავშირებით უნდა მიმართოს დაინტერესებულმა პირებმა—საქ. მს. მრ. სახ. კომისარიატში ამხ. ჯაფარიძეს, პუშკინის ქ. № 3, მე-3 სართ. ოთახი № 7.

ბ 395 **საქ. მს. მრეწ. სახკომისარიატი.**

საქ. მსუბუქ მრეწველობის სახალხო კომისარიატის სამერვალო მექანიკური ტექნიკუმი

აცხადებს 1934-35 სასწავლო წლისათვის მსმენელების მიღებას შემდეგ განხრებზე: მექანიკური და ტექნოლოგიური. სავალდებულოა შემდეგი საბუთების წარმოდგენა:

1) დაბადების 2 განათლების (7-წლედის დამთავრების), 3) ჯანმრთელობის, 4) სოც-მდგომარეობის. სავალდებულოა ყველა საბუთის წარმოდგენილი იქნას დედნით.

გამოცდებს აბარებენ შემდეგ საგნებში: 1) კლასთა ბრძოლის ისტორია, 2) ქართული ენა (ზეპირი და წერითი), 3) მათემატიკა (ზეპირი და წერითი), 4) ქიმია, 5) ფიზიკა.

მიღებული მოწაფეებიდან ვაჟების 50% უზრუნველყოფილი იქნება საერთო საცხოვრებლით. სკოლის ყველა მოწაფეობა მიმაგრებული იქნება საკუთარ დახურულ განმანაწილებელზე და სასადილოზე სტიპენდიები გაიცემა აკადემიური წარმატების მიხედვით. განცხადებების მიღება იწარმოებს 1 ივლისიდან 26 აგვისტომდე ტექნიკუმის კანცელარიაში დილის 11 საათიდან 2 საათამდე, კალინინის ქ. № 6.

ბ. 394 **ადმინისტრაცია**

ქალ. ტფილისის ინჟენერ-ტექნიკოსთა დახურულ კოოპერატივის სალიკვიდაციო კომისია აცხადებს ყველა დაინტერესებული ორგანიზაციის და მომხმარებელთა საყურადღებოთ, რომ მიმდინარეობს

ინჟ. ტექნიკ. კოოპ. ლიკვიდაცია

პრეტენზიები მიიღება სალიკვიდაციო კომისიის მიერ ა. წლ. 1 სექტემბრამდე, ეორესის ქ. № 19, დილის 9—3 და საღამოს 6—8 საათამდე.

აღნიშნულ ვადის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ მიიღება

80ს **სალიკვიდაციო კომისია.**

კინო-თეატრი „დ ა მ კ ვ რ ე ლ ი“

19 აგვისტოდან ეკრანზე ამერიკული სათავგადასავლო ფილმი

ვერცხლის შარფი

მთავარ როლებში ჩარლზ ხეტჩისონი და ლიუსი ფოქსი.

ექიმი

ი. ქიმშვილი

ქირურგიული, ვენერიული და კანის დაავად. იღებს დილ. 8—9 საათ. და საღ. 6½ ს.—8½ ს. მისამართი: კამოს ქ. № 7 (ალექსანდროვის საბაღე პირდაპირ).

ექიმი

პ. ფ. ოთხმეზური

ქირურგიული სნეულებანი

იღებს საღ. 5—7 საათამდე.

მისამართი—გრიბოედოვის ქ. № 19

ექიმი

ა. დ. შღენტი

შინაგანი სნეულება, სპეც. კუჭ-ნაწლავის სნეულებანი. გამოკვლევა მკურნალობა

იღებს ყოველ დღე 6—7 ს. რუსთაველის ქ. უფასოთ. მისამართი წყნეთის ქ. № 8.

10—2 4683

მათემატიკის მასწავლებელი

ამზადებს ჩამორჩენილებს და სუსტებს ელემენტარულ და უმაღლეს მათემატიკაში ყველა ტიპის სკოლებისათვის.

გრიბოედოვის ქ. № 5 ნახვა 10—12 და 5—8.

4-1 4105

საექსტერნო გამოცდები

საშუალო სკოლის მოცმობაზე

დაიწყება ა. წ. 2 სექტემბრიდან პედსადგურში (კამოს ქ. № 59)

განცხადებებს მიღება 20-დან 31 აგვისტომდე დილის 10 საათ.-12 საათამდე

79 **განსახკომი.**

დაიკარგულია „სახთამბაქო“-ს ავტომანქანა „ფორდი“-ს პასპორტი № 23 52, ჩ. ა. 70

იკითხეთ და გაავრცელეთ

„კოლექტივიზაცია“

აშუქებს სოფლის მეურნეობის საკითხებს: სახელმძღვანელო წერილები, მხატვრული ნარკვევები, პატარა ფელეტონები, კონსულტაცია საკოლმეურნეო მშენებლობის საკითხებზე და სხვა. შინაური და საგარეო ინფორმაცია, საერთაშორისო მიმოხილვები.

უახლოესი მეგობრები: იასე, ნიკო ბარათაშვილები, ფ. იმედაძე, გ. მაჩაბლიშვილი, გ. ქადაგიძე, ი. მიქელაძე, ე. ცისკარიშვილი აუწყებენ ნაცნობ-მეგობრებს, რომ 13 აგვისტოს უდროოდ გარდაიცვალა ძვირფასი ამხანაგი, ახალგაზრდა ეკონომისტი

შაქრო ილიკოს-ძე **იმედიძე**

ქვ. 4800

დამწუხრებულნი მშობლები: დედა თინა, მამა ექიმი ილიკო, ბებია ფირუზი, მამიდები: იუსტინე, ბაბინე ბოლქვაძეები, ბებია კატო, ბაბუა ივანე. შვილები: მიშა, თამარი ჯანელიძეები იუწყებიან პატარა შვილის

ც უ ც ი კ ო ს

გარდაცვალებას. დასაფლავება 18 აგვისტოს ლანჩხუთში. ქვ. 4795

იონა ვაკელი, სამსონ მგელაძე, პეტრე სამსონიძე, და სოფიო ელიავა მწუხარებით აუწყებენ ნაცნობთ და მეგობრებს საუკეთესო მეგობრის და ამხანაგის

გორდისი (გოგი) ბარნაბის-ძე **ხომერიკის**

უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 4802

გაუბედურებული ცოლი ლიდა შვილებით: ნოდარი და ვაშიკოთი აუწყებენ ნათესავ და ნაცნობთ საყვარელი, დაუვიწყარი

გიორგი (გორდისი) ბარნ.-ძე **ხომერიკის**

უდროოდ გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველდღე 7 ს. გამოსვენება სასამართლოს ქ. № 6, 18 აგვისტოს 5 ს. ქვ. 4802

დედა ლისა, ძმები: კასიანე, ელისო, იაკინთე, რძლები ოლია, ანეტა და ნინა ხომერიკეები შვილებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ საყვარელი და დაუვიწყარი

გიორგი (გორდისი) ბარნ.-ძე **ხომერიკის**

უდროოდ დაკარგვას. ქვ. 4806

სამუდამოდ გულმოკლულნი, ლიუდი, მალაქი, მარო, კარლო, თამარა, ლეონიდე გიორგაძეები აცნობებენ ნათესავ-ნაცნობებს ძვირფას და საყვარელ სიძის

გიორგი (გორდისი) ბარნ.-ძე **ხომერიკის**

უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 4807

საქ. სახელმწ. საგეგმო კომისიის თანამშრომლები: გეგელია გ., ცინცაძე ნ., ტელეშევა ვ., ქებაძე ლ., ლიპარტელიანი თ., ყუბანეიშვილი რ., ფალავანდიშვილი ბ., პაპავა ო., რობიტაშვილი ლ., ანდრიაშვილი ე. ნიკურაძე ლ., მეავანაძე მ., მწუხარებას გამოსთქვამენ

ამხ. გოგი **ხომერიკის**

უდროოდ გარდაცვალების გამო.

საყვარელ

გოგი ხომერიკის

უდროოდ დაკარგვას გლოვობენ უახლოესი მეგობრები: ბერიძე გ., ხოფერია ა., პარკაძე ა., ჯაფარიძე მ., ტყეშელაშვილი შ., მახარაძე გ., ჩარექიშვილი პ., პეგუშინი ვ., ბუაძე ა., ბრეგვაძე მ., მუსაევი მ., ვოისკოვი ს. ქვ. 4805

საქართველოს სახდაწესებულებათა კავშირის ც.ვ. პრეზიდიუმი და ი.ტ.ს. რესპ. ბიურო მწუხარებით აუწყებენ კავშირის და ი.ტ.ს. აქტიურ წევრის

გიორგი ბარნაბის-ძე **ხომერიკის**

უდროოდ გარდაცვალებას. ქვ. 4792.

ცოლი ნინუცა, შვილები: კოკი, ჩაქურა, თამარა და ოლია იუწყებიან, რომ მათთვის ძვირფასი

ევგენი **სალაყაიას**

სამოქ. პანაშვიდი დანიშნულია 18 აგვისტოს ქ. ახალ სენაკში 5 ს. ქვ. 4798

გულმოკლული მშობლები: ბესარიონ, თებრონე შვილი გურამი, ძმები: გერასიმე თედორე, პლატონ ცოლებით ცინცაძეები ვაუწყებთ საზოგადოებას უსაყვარლესი

ანეტა **ცინცაძე-ბასილაშვილისა**

უდროოდ გარდაცვალებას. დასაფლავება ლანჩხუთში 17 აგვისტოს. ქვ. 4796

საქ. კ. პ. (ბ) ხობის რაიკომის ბიურო და რაიაღმასკომის პრეზიდიუმი მწუხარებით იუწყება რაიაღმასკომის თავმჯდომარის

ამხ. **ტარიელ აბრამიას**

გარდაცვალებას. დასაფლავება 18 აგვისტოს დაბა ხობში ქვ. 4802

კოოპერაციის ხობის რაიკავშირის გამგეობა და რაიპროფსაბჭოს პრეზიდიუმი ულრმესი მწუხარებით იუწყება ხობის რაიაღმასკომის თავმჯდომარის

ამხ. **ტარიელ აბრამიას**

გარდაცვალებას. დაკრძალვა 18 აგვისტოს 4 ს. დ. ხობში. ქვ. 4803

საქ. შინ. სახკომის ხობის რაიგანყოფილება და წითელი პარტიზანელთა საზ-ბის რაიონული ბიურო მწუხარებით იუწყებიან კომუნიზმის საქმისათვის თავდადებული მებრძოლის ხობის რაიაღმასკომის თავმჯდომარის

ამხ. **ტარიელ აბრამიას**

უდროოდ გარდაცვალებას. დაკრძალვა ხობში 18 აგვისტოს. ქვ. 4803

ცოლი შურა, შვილებით: გივით და სულიკოთი, და ძაბა, სიძე ლადი, ბიძაშვილი პარტყუ აბრამიები უზომო მწუხარებით იუწყებიან, რომ მოულოდნელად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი

ტარიელ აბრამია

დაკრძალვა ხობში 18 აგვისტოს ქვ. 4803

ღრმად დამწუხრებულნი ვანო და კოლია სარალიძეები, რძლები: მარგო, ქეთო; ძმის ძულები: შოთა, ბიძინა, აუწყებენ ნაცნობ ნათესავთ ძვირფასი დის

ი ტ ო ს

უდროოდ გარდაცვალებას. გამოსვენება რკინის გზის საავადმყოფოდან 17 აგვისტოს 5 ს. დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ქვ. 4804

დამწუხრებულნი: და ელენე შვილებით: დოდო, ნუნუ, ძმები: შალიკო, ვანიჩკა; რძლები: ევდოკია, დოდო; ძმისწულები: გივი, ნიკუშა იუწყებიან დაუვიწყარ

ანგელინა **მაჭავარიანი-ლეონიძისა**

გარდაცვალებას. გამოსვენება 17 აგვისტოს. ქუთაისის ქ. № 25 (დიდუბე). დაკრძალვა კუკიის სასაფლაოზე. ქვ. 4794

თავზარდაცემული: ცოლი სარა ანიკოთი, ძმები: შალიკო, გური, კუკური, დები: მერი, თამარა, სიძეები: ანდრო ძიძიგური, ივანე ნიშნიანიძე იუწყებიან

ალიოშა (აკაკი) **კანდელაკის**

გარდაცვალებას. სამოქ. პანაშვიდი დღეს, 8 ს. ყ. მიხეილის საავადმყოფოს პროზექტურაში. ქვ. 4793

შვილები: მაშუ, სარდიონი, სიძე ვასილ კუციავა, რძალი ძაბული, შვილიშვილები: ალიოშა, ბიჭიკო, თამარა, ემილი იუწყებიან, რომ 18 აგვისტოს 6 ს. ავლაბრის სასაფლაოზე გადაბძილი იქნება დაუვიწყარი დედის

ოლინკა **ხაინდრავას**

სამოქალაქო პანაშვიდი. ქვ. 4791

სტამბა „კომუნისტი“, კაძის ქ. № 68

მთავლიტის რწმუნებული ა 4313.